გაზეთი ზევრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№11 (1701) 1 — 7 მაისი ოთხშაბათი 2024 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

რა უთხრა ბიძინა ივანიშვილმა საყოველთაო-სახალხო შეკრების მონაწილეებს

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის გამოსვლის სრული ტექსტი

პოლიციამ თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღო – დაკავებულია ექვსი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა ამოიღეს – დაკავებულია ექვსი პირი, ერთი კი მხილებულია.

დანაშაული 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1984 წელს დაბადებული გ.ნ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად სანადირო თოფი, ხელყუმბარა, ამფეთქი ფალია და ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“ ამოიღეს.

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ა.პ. დააკავეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოღებულია ცეცხლსასროლი იარაღი, ხმის ჩამხშობი მაყუჩი და 35 ვაზნა.

გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა, 1990 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.კ.-ს პირადი ჩხრეკისას, პისტოლეტი, მჭიდი და 7 ვაზნა ამოიღეს.

ხოლო, 1964 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ასევე ოჯახის წევრის მიმართ მუქარის ბრალდებით დაკავებული ი.ო.-სგან, ნივთმტკიცების სახით ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო და ჩხოროწყუს რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1981 წელს დაბადებული ზ.ს. დააკავეს, ხოლო 1971 წელს დაბადებული პირი ამხილეს.

სამართალდამცველების მიერ ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებულია: 2 პისტოლეტი, მჭიდი და 2 ვაზნა.

იმერეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1992 წელს დაბადებული ლ.გ. დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას რევოლვერი და 4 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 11 პრიმა 151-ე და 273-ე (პრიმა) მუხლებით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჭადრაკში შიდა ტურნირი ჩაატარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში ჭადრაკის შიდა ტურნირი ჩატარდა.

ჩემპიონატი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის – FIDE-ს წესებით, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად წარიმართა.

ტურნირში I ადგილი დაიკავა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომელმა ზურაბ თურქაძემ.

II ადგილზე გავიდა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი ნონა დათუაშვილი, ხოლო III ადგილი დაიკავა შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა თორნიკე გაბუნიამ.

ტურნირში საპრიზო ადგილებზე გასულ მონაწილეებს, სხვადასხვა სამახსოვრო საჩუქართან ერთად, ფულადი ჯილდოც გადაეცათ.

შიდა ტურნირი მიზნად ისახავს სამინისტროს სისტემაში ჭადრაკის, როგორც სპორტის სახეობის პოპულარიზაციას.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნარკოდანაშაულისთვის 18 პირი დააკავა, მათგან რვა ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, აჭარის, ქვემო ქართლისა და გურიის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულისთვის 18 პირი დააკავეს, მათ შორის რვა ნარკორეალიზატორია.

დაკავებულებს შორის არიან, როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო გასაღებისა და გასაღების მცდელობის ბრალდებით დაკავებულები არიან: 1987 წელს დაბადებული ა.ო., 1990 წელს დაბადებული ნ.ჩ., 2001 წელს დაბადებული ლ.ს., 2002 წელს დაბადებული გ.მ., 2001 წელს დაბადებული ქ.ყ., 1989 წელს დაბადებული მ.ა., 1982 წელს დაბადებული მ.ე., და 1996 წელს დაბადებული რ.ო.

დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შეძენა-შენახვის, საქართველოში უკანონოდ შემოტანის, „მარიხუანას“ უკანონოდ შეძენა-შენახვისა და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონოდ დათესვა-მოყვანისა და კულტივირების ფაქტებზე დაკავებულები არიან: 1992 წელს დაბადებული მ.მ., 1967 წელს დაბადებული ა.მ., 1992 წელს დაბადებული გ.გ., 1991 წელს დაბადებული მ.ჭ., 2002 წელს დაბადებული დ.ა., 1996 წელს დაბადებული ბ.ხ., 1999 წელს დაბადებული ნ.დ., 1993 წელს დაბადებული ა.ო., 1971 წელს დაბადებული ა.ა. და 1999 წელს დაბადებული თ.ხ.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა. პოლიციამ დაკავებულების მიერ უკანონოდ გაყიდული ნარკოტიკული საშუალებები ნივთმტკიცების სახით ამოიღო, ასევე, ამოღებულია, სავარაუდოდ, ნარკოტიკების უკანონო რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული და ელექტროსასწორები.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული პირების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას, ასევე, მათ მიერ მითითებული სხვადასხვა ლოკაციიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს სხვადასხვა სახის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: „ჰეროინი“, „ალფა პვპ“, „ბუპრენორფინი“, „მდმა“, „მეტადონი“, „სუბოქსინი“, „მარიხუანა“ და ნარკოტიკულ საშუალების შემცველი მცენარე „კანაფი“.

ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 19-260-ე, 262-ე, 265 და 273 პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

რა უთხრა ბიძინა ივანიშვილმა საყოველთაო-სახალხო შეკრების მონაწილეებს

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის გამოსვლის სრული ტექსტი

„მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო!

მივესალმები ჩვენი თავისუფლებისმოყვარე ერის ღირსეულ შვილებს!

ყველას მინდა მოგილოცოთ ბზობა და წინასწარ მოგილოცოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული!

საქართველომ 33 წლის წინ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, თუმცა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მერაბ კოსტავა გვაფრთხილებდა: **„დაიმახსოვრეთ, თქვენ მოესწრებით იმ დროს, როცა საქართველო თავისუფალი გახდება! მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც, დამოუკიდებელ ქვეყანაში, თავისუფლებისთვის შეწყვეტთ ბრძოლას, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც“.** მერაბ კოსტავას ეს შეგონება თითოეულ ფეხის ნაბიჯზე კარგად უნდა გვახსოვდეს.

საქართველო უნდა მართოს ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ!

2004-2012 წლებში, ჩვენ გამოვიარეთ უმძიმესი წლები, როდესაც ქვეყანას არა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, არამედ გარედან დანიშნული რევოლუციური კომიტეტი, უცხოური აგენტურა მართავდა. შეგახსენებთ, რომ ეს ადამიანები - სააკაშვილი, ბოკერია, მერაბიშვილი, ადეიშვილი, გვარამია, კეზერაშვილი და სხვები - საქართველოს ხელისუფლების ლიდერებად „ენჯეოების“ ხელით მოწყობილი რევოლუციის შემდეგ დაინიშნნენ.

არადემოკრატიული წესით, გარედან დანიშნული ადამიანების მმართველობამ მკაფიოდ დაგვანახა, თუ რამდენად მძიმეა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაკარგვის გარდაუვალი შედეგი. სისხლიანმა რეჟიმმა გადაავსო ციხეები, აწამა პატიმრები, შეიწირა ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, დააყაჩაღა ათასობით ბიზნესმენი, გააყალბა არაერთი არჩევნები, მიიტაცა მედია, დაკარგა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი.

ბევრს ჰგონია, რომ ამ დანაშაულების მთავარი მიზეზი სააკაშვილისა და მისი თანამზრახველების არაჰუმანური, სადისტური და არაპატრიოტული ბუნება იყო. თუმცა, სინამდვილეში, ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებდნენ, გარედან, მათი პატრონებისგან იყო დაკვეთილი და მართული. სწორედ ამიტომ იყო, რომ რეჟიმს ჰქონდა მწვანე შუქი ყოველგვარ უმსგავსობაზე იმ უცხოელი პოლიტიკოსებისგან, რომლებიც დღეს სააკაშვილს, გვარამიასა და კეზერაშვილს უმანკოკრავებად გვიცხადებენ და არსებული ხელისუფლების დასჯას ითხოვენ. ამ უცხოელებს დღეს ამოძრავებთ სურვილი, საქართველოში იგივე ადამიანების არაჰუმანური და სადისტური დიქტატურა დაგვიბრუნონ, რასაც არაფრის ფასად არ დავუშვებთ. როდესაც მწვანე შუქზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ რეჟიმის სადიზმი „ენჯეოებისგანაც“ სრული მხარდაჭერით სარგებლობდა.



მინდა გავიხსენო ინდოელი ლიდერის, ჯავაჰარლალ ნერუს სიტყვები, მცირე ადაპტირებით: **„არ არსებობს საკუთარი ქვეყნის იმაზე დიდი მტერი, ვიდრე უცხო ქვეყნის მიერ აღზრდილი ფსევდო-ელიტა“.** უცხო ქვეყნის მიერ აღზრდილ ფსევდო-ელიტას რამდენიმე მთავარი თვისება გამოარჩევს. ის არის უსამშობლო, არ უყვარს არც საკუთარი ქვეყანა და არც საკუთარი ხალხი, რადგან მას სინამდვილეში საკუთრად არ მიიჩნევს. პირიქით, ასეთ ადამიანებს საკუთარი ქვეყანაც და ხალხიც ეთაკილებათ. ასეთი ადამიანი არის აკაკისეული ღამურა, რომელიც, საბოლოოდ, ვერც უცხოელდება და ქართველობასაც კარგავს. ასეთი ადამიანები იოლად ექვემდებარებიან გარედან მართვას, რადგან ისინი ყოველგვარი პრინციპებისგან არიან დაცლილნი. სწორედ ასეთია დღევანდელი რადიკალური ოპოზიციის სახე და ასეთი იყო ამ ადამიანების სახე ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდშიც.

როდესაც 2012 წელს, გარედან დანიშნული უსამშობლო პოლიტიკოსების სისხლიანი რეჟიმი გავისტუმრეთ, ვფიქრობდი, რომ ჩემი მისია სრულად მქონდა შესრულებული. ქართველ ხალხს დავუბრუნეთ საარჩევნო უფლება, ციხიდან გავათავისუფლეთ 15 ათასი პატიმარი, სრულად აღვკვეთეთ პატიმრების წამება და არაადამიანური მოპყრობა, დავასრულეთ ნაციონალუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რა უთხრა ბიძინა ივანიშვილმა საყოველთაო-სახალხო შეკრების მონაწილეებს

მე-3 გვერდიდან

რი მოძრაობის მედია-მონოპოლია, გავათავისუფლეთ ბიზნესი, ქვეყანას მოვუტანეთ გრძელვადიანი მშვიდობა და გაძლიერებული უსაფრთხოება.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ვფიქრობდი, რომ 2012 წელს ჩემი მისია სრულად შევასრულე. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს მიღწევები არ აღმოჩნდა საკმარისი. ჩვენ კვლავაც გვიწევს ბრძოლა თავისუფლებისა და სუვერენიტეტისთვის, რათა აღვასრულოთ ილია ჭავჭავაძის შეგონება, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდეს“. ამიტომ, პრინციპულად და თავდადებით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, პირადად მე, განვაგრძობ ბრძოლას საქართველოს, ჩვენი სამშობლოს სუვერენიტეტის სრულად აღსადგენად.

2022 წლის დასაწყისიდან დღემდე, საქართველომ გადაიტანა ურთულესი ბრძოლა ომის თავიდან ასაცილებლად და მშვიდობის შესანარჩუნებლად. ბუქარესტის 2008 წლის სამიტის დაპირების მიუხედავად, საქართველო და უკრაინა არ გააწევრიანეს ნატოში და ორპირ ქარში დააყენეს. ყველა ასეთ გადაწყვეტილებას გლობალური ომის პარტია იღებს, რომელიც ნატოზეც და ევროკავშირზეც გადამწყვეტი გავლენით სარგებლობს და რომლისთვისაც საქართველოსაც და უკრაინასაც მხოლოდ საზარბაზნე ხორცის ფასი აქვს. მათ ჯერ 2008 წელს საქართველო დააპირისპირეს რუსეთთან, ხოლო 2014 და 2022 წლებში - კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში უკრაინა ჩააყენეს. საქართველოს მიმართ გლობალური ომის პარტიის აგრესიის მთავარი მიზეზი ისაა, რომ დიდი ძალისხმევის მიუხედავად, საქართველო მეორე ფრონტად ვერ აქცია, რასაც ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნების პირობებში, ძალიან მარტივად მიაღწევდა.

საზოგადოებაში ხშირად კითხულობენ, მაინც რატომ იბრძვიან უცხოეთიდან ასეთი გამალებით „ენჯეოების“ გამჭვირვალობის წინააღმდეგ? ჩვენი გუნდის წარმომადგენლები ამ შეკითხვას სწორი მიმართულებით პასუხობენ, თუმცა სრული სიმართლის თქმას ისინი მაინც ერიდებიან. სრული სიმართლე კი ისაა, რომ „ენჯეოების“ გაუმჭვირვალე დაფინანსება არის მთავარი ინსტრუმენტი, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება გარედან შეგიძლია დანიშნო. მიზანია, საქართველო არა ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების, არამედ, გარედან დანიშნული „ღამურების“ - ახალი დროის სერგო ორჯონიკიძეებისა და გიგლა ბერბიჭაშვილების ხელით იმართებოდეს. ამის არდაშვება არის ჩვენი ვალი საქართველოს თავისუფლების იდეას შეწირული ქართველი მოღვაწეების წინაშე.

„ენჯეოების“ დაფინანსება, რომელსაც უცხოეთიდან ხშირად გვამადლიან და დახმარებაში გვითვლიან, სინამდვილეში, თითქმის მთლიანად აგენტურის გამაგრებასა და ხელისუფლებაში მათ მოყვანას ხმარდება. შესაბამისად, ამ თანხებს არავითარი საერთო არა აქვს დახმარებასთან და პირიქით, ერთადერთ მიზნად საქართველოსთვის სახელმწიფო სუვერენიტეტის წართმევას ისახავს.

დღევანდელი საქართველო არ არის არც შევარდნაძის დროინდელი საქართველო და არც იანუკოვიჩის უკრაინა. დღეს საქართველოს მართავს ძლიერი და ერთ მუშტად შეკრული პროფესიონალთა გუნდი, რომელმაც იცის სამშობლოს, დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის ფასი. შესაბამისად, ურეიტინგო „ნაციონალებისა“ და „ენჯეოების“ ხელით ხელისუფლების შეცვლა დღევანდელ საქართველოში შეუძლებელია. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიფხიზლე უნდა დავკარგოთ და საქართველოს სუვერენიტეტისთვის გრძელვადიანი გარანტიის შექმნაზე არ უნდა ვიზრუნოთ. სწორედ საქართველოს სუვერენიტეტის გამყარებას ემსახურება ქართული კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“.

შეიძლება დაისვას კითხვა - რატომ გაიწვია გუნდმა კანონი შარშან და რატომ ვიღებთ მას წელს. შარშან კანონის გაწვევას ორი მთავარი ობიექტური მიზეზი ჰქონდა. პირველი, შარშან შეძლეს და საზოგადოების დიდი ნაწილი შეცდომაში შეიყვანეს. შესაბამისად, ჩვენი ვალი იყო, თუნდაც მოტყუებული თანამოქალაქეების შფოთვა გაგვეთვალისწინებინა. მეორე, ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგრადობას, რასაც კანონის არგაწვევის შემთხვევაში, შარშან სირთულეები შეიძლებოდა შეჰქმნოდა.

წელს ვითარება რადიკალურად განსხვავებულია. „ნაციონალებმა“ და მათმა პატრონებმა ხალხი ვეღარ მოატყუეს და დღეს, საზოგადოების უდიდესი ნაწილი „ენჯეოების“ გამჭვირვალობას მყარად უჭერს მხარს. გარდა ამისა, დღეს გვაქვს სრული რესურსი გამჭვირვალობის შესახებ კანონი სახელმწიფოს მდგრადობისთვის ზიანის მიყენების გარეშე მივიღოთ და ქვეყანა წინ წავიყვანოთ. სწორ დროს, სწორი სვლის გაკეთება პოლიტიკის მთავარი ხელოვნებაა. ჩემი პოლიტიკური წარსული მაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ როგორც პოლიტიკურ ლიდერს, ამგვარი სვლების გათვლა კარგად შემიძლია.

ასევე, საზოგადოებაში ისმის ხოლმე კითხვა, ხომ არ სჯობდა, დროებითი სიმშვიდით მაქსიმალურად გვესარგებლა და ლგბტ-პროპაგანდისა და „ენჯეოების“ შესახებ კანონპროექტების განხილვის დაწყებით თავი ზედმეტად არ აგვეტკივებინა და თუნდაც, არჩევნების შემდეგ დაგვეწყო მისი განხილვა. ამასთან დაკავშირებით, მკაფიოდ მინდა გითხრათ: ნურავის ექნება ილუზია, რომ ამ კანონპროექტების გარეშე, დიდხანს მოგვასვენებდნენ. შეგახსენებთ, თუ როგორი გამალებით ცდილობდნენ მთელი ამ დროის განმავლობაში ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სასამართლოს შერყევას. სასამართლოში დღემდე ითხოვენ ეგრეთ წოდებულ ვეტინგს ანუ უცხოური მმართველობის შემოღებას, რომელმაც რეპრესიები უნდა ჩაატაროს და სასამართლო სისტემა აგენტურით უნდა დააკომპლექტოს. მსგავს მიზანს ემსახურებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან დაკავშირებული მოთხოვნებიც, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა სამართლიანად არ გაითვალისწინა.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა დამოუკიდებელი საერთაშორისო კვლევის თანახმად, ქართული სასამართლო, სამართლიანობისა და ეფექტიანობის კრიტერიუმებით, ევროკავშირის წევრი არაერთი ქვეყნის სასამართლოსაც კი უსწრებს, მიუხედავად იმისა, რომ ვერ ასახელებენ ვერცერთ საქმეს, რომელიც სასამართლომ პოლიტიკური ხელისუფლების ზეწოლით ან ზოგადად, უსამართლოდ გადაწყვიტა, გრძელდება დაჟინებული ზეწოლა ხელისუფლებაზე სასამართლოს ხელში ჩასაგდებად, რომელიც იქამდე გაგრძელდება, ვიდრე წარმატების იმედს ბოლომდე არ დაკარგავენ.

როდესაც ისეთ მოთხოვნებს აყენებენ, რომლებზეც წინასწარ იციან, რომ ხელისუფლება მათ არ გაითვალისწინებს, ცხადია, რომ ამ მოთხოვნების ერთადერთი მიზანი ხელისუფლებისთვის ხელოვნური უხერხულობის შექმნაა. ასეთ პირობებში, ცხადია, რომ იგივე ძალები, რომლებიც ორი და ოთხი წლის წინ რევოლუციებს გვიწყობდნენ, შემოდგომაზე ჩვენს ქვეყანას აუცილებლად ახალი ძალით შეუტევდნენ და ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნებას კიდევ ერთხელ შეეცდებოდნენ. ენერგიას, რომელიც შემოდგომისთვის უნდა დაეგროვებინათ, ახლა ისინი ქუჩაში ნაადრევად ანიავებენ.

ამიტომ, ლგბტ-პროპაგანდისა და „ენჯეოების“

დასასრული მე-5 გვერდზე

რა უთხრა ბიძინა ივანიშვილმა საყოველთაო-სახალხო შეკრების მონაწილეებს

მე-4 გვერდიდან

შესახებ კანონების ინიცირებას ორმაგი სარგებელი ჰქონდა: ერთი მხრივ, ამ ორი საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგებას ალტერნატივა არა აქვს და მეორე მხრივ, დასაგროვებელი ენერგიის ნაადრევი ხარჯვა ისედაც დასუსტებულ აგენტურას ძალას ბოლომდე გამოაცლის. შესაბამისად, კანონპროექტების ინიცირებისთვის დროც იდეალურად არის შერჩეული. ამ პროცესებით ქვეყანასა და ხელისუფლებას არაფერი დაგვაკლდება, გარდა იმისა, რომ გლობალურ ომის პარტიას კიდევ ერთხელ გავანაწყენებთ, რომელსაც მეორე ფრონტის არგახსნის გამო, ჩვენს მიმართ წყენა ისედაც არ აკლია.

ბევრი ჩვენი თანამოქალაქე განაწყენებულია იმის გამო, რომ 2012 წელს „ნაციონალები“ სათანადოდ არ დავსაჯეთ. რეჟიმის არაერთმა ლიდერმა მრავალწლიანი სასჯელი მოიხადა. გასამართლდა რეჟიმის დანაშაულებრივი დავალებების მრავალი შემსრულებელი. ამჟამად სასჯელს იხდის რეჟიმის მთავარი დამნაშავე, მიხეილ სააკაშვილი. თუმცა, სამწუხაროდ, არ მომხდარა „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ერთიანი დანაშაულებრივი და მოღალატეობრივი დაჯგუფების გასამართლება.

საქმეში უშუალოდ ჩახედული ადამიანები დამეთანხმებიან, რომ მაშინ „ნაციონალების“ დასჯის არავითარი რესურსი არ გვქონდა, ურესურსოდ ნაბიჯების გადადგმა კი მხოლოდ კონტრპროდუქტიული იქნებოდა. კარგად მახსოვს, 2012-13 წლებში, კბილებით როგორ იცავდნენ სისხლიან დამნაშავეებს დასავლელი უმაღლესი თანამდებობის პირები. „ნაცმოძრაობა“ ზუსტად ისევე დაუნიშნეს საქართველოს გარედან რადიკალურ ოპოზიციად, როგორც მანამდე ხელისუფლებად დაგვინიშნეს. რადიკალიზმი, ე.წ. პოლარიზაცია და პერიოდული პოლიტიკური რყევები, რაც ჩვენს ქვეყანას და მის ეკონომიკას მთელი ამ წლების მანძილზე საკმაოდ ძვირი დაუჯდა, მთლიანად გარედან იყო ხელოვნურად თავს მოხვეული. რომ არა გარე მხარდაჭერა, საქართველო ეგრეთწოდებული პოლარიზაციის ჩაკეტილ წრეს უმოკლეს ვადებში გაარღვევდა.

ყველამ იხილეთ ევროპარლამენტის მიერ რამდენიმე დღის წინ მიღებული რეზოლუცია, სადაც ევროპელი პოლიტიკოსები „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერებს კიდევ ერთხელ გამოექომაგნენ. ამ შემთხვევაშიც, გლობალურმა ომის პარტიამ ევროპარლამენტი აიძულა, სრულიად არაევროპული რეზოლუციისთვის დაეჭირა მხარი. ამ ყველაფერს ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, საქართველოს საქმეებში კიდევ ერთხელ უხეშად ჩარევა სცადეს და მეორე მხრივ, ყველას კიდევ ერთხელ აჩვენეს, რომ ევროპარლამენტი მათ ერთ-ერთ მორიგ ინსტრუმენტად არის ქცეული, რომელსაც ნებისმიერ დროს, როგორც უნდათ, ისე გამოიყენებენ. ამ სრულიად არაევროპული რეზოლუციის დამტკიცებით, კიდევ ერთხელ გამოჩნდა, თუ რამხელა გავლენა აქვს გლობალურ ომის პარტიას ევროკავშირზე. გლობალური ომის პარტია ევროკავშირს საკუთარი ხელით ანგრევინებს ევროპულ ღირებულებებს, რაც, ზოგადად, მისი ჩვეული ხელწერაა. ზუსტად ასევე ანგრევდნენ ისინი საქართველოს 2004-12 წლებში, ხელისუფლებაში მყოფი ქართველების ხელით.

საქართველოს ბედი ქართველმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. ამ წლების განმავლობაში, ჩვენ დავაგროვეთ საკმარისი რესურსი, რომ სუვერენიტეტის სრულად განმტკიცება დავიწყოთ. სწორედ ამას ემსახურება კანონიც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. არჩევნების შემდეგ კი ჩვენ გვექნება იმის საშუალება, რომ კოლექტიურ ნაციონალურ მოძრაობას გამოვუტანოთ მკაცრი პოლიტიკური და სამართლებრივი განაჩენი, რომელსაც ის 9-წლიანი სისხლიანი მმართველობისა და 12-წლიანი „მაოხრებელი გზირობისთვის“ იმსახურებს.

არჩევნების შემდეგ, ნაციონალური მოძრაობა მკაცრად აგებს პასუხს ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც მან 2 ათწლეულის მანძილზე ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა!

ჯერ კიდევ 2014 წელს დავაფუძნე „საზოგადოება 2030“. მაშინ ევროკავშირის წევრობა ძალიან შორეულ პერსპექტივად მოჩანდა და გაწევრიანებაზე საჯაროდ საუბარს ვერიდებოდი, რადგან საზოგადოებას ჩემი ჭარბი ოპტიმიზმი შეიძლებოდა არ მოსწონებოდა. თუმცა, ჯერ კიდევ მაშინ ვხედავდი, რომ საქართველოს 2030 წლისთვის ევროკავშირში გაწევრიანება შეეძლო. დღეს, როდესაც 2030 წლამდე, სულ რაღაც 6 წელია დარჩენილი, საქართველო არის გამოკვეთილი ლიდერი ევროკავშირის წევრობის კანდიდატ ქვეყნებს შორის დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, ინსტიტუტების სიძლიერისა და კორუფციის სიმცირის თვალსაზრისით. საქართველოს ეკონომიკა იზრდება ყველაზე სწრაფად ყველა კანდიდატ ქვეყანას შორის.

გაძლევთ პირობას, რომ ყველა წინააღმდეგობას გადავლახავთ, სუვერენიტეტსაც განვიმტკიცებთ, მშვიდობასაც შევინარჩუნებთ, ქართულ ეკონომიკასაც გავაძლიერებთ და 2030 წელს გავხდებით ევროკავშირის წევრი ქვეყანა. ჩვენ ვართ უნიკალური ერი, უნიკალური ისტორიით, ტრადიციებითა და იდენტობით. სწორედ ამ უნიკალური ეროვნული ტრადიციებითა და იდენტობით უნდა გავწევრიანდეთ საერთო ევროპულ ოჯახში, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს ნამდვილი ფასი ევროკავშირს საქართველოსთვის და საქართველოს - ევროკავშირისთვის.

ჩვენი ფეხბურთელების წარმატებამ გაგვიმყარა რწმენა, რომ ოცნებების ახდენა შესაძლებელია. ქართველ გულშემატკივარს აუხდა 30-წლიანი ოცნება და საქართველოს ნაკრები, პირველად ისტორიაში, გავიდა ევროპის ჩემპიონატზე. მჯერა, რომ ეს უდიდესი წარმატება არის პირველი ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის ოცნებების ახდენის გზაზე.

თავისუფალი, დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო, ევროკავშირის წევრი საქართველო, გაერთიანებული და გამთლიანებული საქართველო, ეს არის ჩვენი ქართული ოცნება, რომელსაც ყველა ერთად, აუცილებლად ავიხდენთ.

კიდევ ერთხელ, წინასწარ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ სულიერ და ფიზიკურ მხნეობას, ბედნიერებას და წარმატებებს თქვენ და თქვენს ოჯახებს!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ, სუვერენულ და ერთიან საქართველოს!“

ფინანსური დარღვევები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში

მაკა რუხაძე

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროთი დაინტერესდა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდს მოიცავს. სათანადო შემოწმებისა და შესწავლის შედეგად, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა უარყოფითი დასკვნა გასცეს და აღნიშნეს, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

„ვერსია“ გთავაზობთ ძირითად დარღვევებს, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა ოთარ შამუგიას უწყებაში გამოავლინეს.

ხარვეზები ინვესტიციებში

სოფლის განვითარების სააგენტოს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შპს „სოფლის მეურნეობის ლოგისტიკისა და სერვისების კომპანიისთვის“ გაცემული სესხები, ჯამური ღირებულებით – 3 600 000 ლარი, ხოლო მათზე დარიცხული გადაუხდელი მოკლევადიანი საპროცენტო მოთხოვნები – 983 168 ლარი. აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ხელშეკრულების გაფორმებიდან პირობები მრავალჯერ შეიცვალა, სესხის ძირის დაბრუნება და პროცენტის გადახდა 2023 წლის 31 დეკემბრამდე გადავადდა.

„აღსანიშნავია, რომ შპს „სოფლის მეურნეობის ლოგისტიკისა და სერვისების კომპანიას“ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გადაუხდია ძირისა და პროცენტის თანხები და ამავდროულად 2021 და 2022 წლები ფინანსური ზარალით დაასრულა. გარდა ამისა, სოფლის განვითარების სააგენტომ 2022 წელს კომპანიას გადაურიცხა 1 მილიონი ლარის სუბსიდია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად. კომპანიამ წერილობით მიმართა სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორს, სადაც მითითებულია, რომ უახლოეს პერიოდში დაიწყებენ არსებული ვალდებულების დაფარვას, თუმცა აუდიტის ანგარიშის თარიღისთვის აღნიშნულ სესხთან მიმართებით კომპანიის მხრიდან ჩარიცხვა არ ფიქსირდება.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ შპს „სოფლის მეურნეობის ლოგისტიკისა და სერვისების კომპანიის“ 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე დამოუკიდებელმა აუდიტორებმა უარი განაცხადეს მოსაზრების გამოთქმაზე და დასკვნა მოიცავს აბზაცს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობაზე. გარდა ამისა, აუდიტის დამტკიცების თარიღამდე სოფლის განვითარების სააგენტომ მოგვაწოდა შეთანხმებები რომელთა მიხედვითაც, სესხის ძირის დაბრუნება და პროცენტის გადახდა კვლავ გადავადდა 2024 წლის 31 დეკემბრამდე“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

აქედან გამომდინარე, შესაძლოა, აღნიშნული სესხებისა და მათზე დარიცხული პროცენტის მიღების ალბათობა მცირე იყოს და არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შედეგად, სახელმწიფო აუდიტორები ვერ დარწმუნდნენ, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „მიმდინარე ინვესტიციების“ მუხლსა და მასთან დაკავშირებულ „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში ასახული ნაშთები რამდენად აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმს.

ხარვეზები მოკლევადიან დავალიანებებში

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგების მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებში ასახულია 1 273 180 ლარის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება 2017-2020 წლებში სამართალდარღვევების ოქმებით დარიცხულ ჯარიმებს. აღნიშნულ მოთხოვნებზე 2021-2022 წლებში ბრუნვა არ ფიქსირდება. გარდა ამისა, ერთიან სახაზინო კოდზე ჯარიმებთან დაკავშირებული ჩარიცხვები 510 221 ლარით აღემატება ჩამოწერილ დებიტორულ დავალიანებებს. აღნიშნული სხვაობის იდენტიფიცირება დეპარტამენტის მიერ ვერ ხერხდება. შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება აღნიშნული მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების ნაშთის არსებობაზე.

„გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დეპარტამენტმა გამოავლინა 6 984 012 ლარის სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი ზიანი, რაც ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს დეპარტამენტის მიერ გამოწერილი ოქმების საფუძველზე, ჯამურად – 9 075 836 ლარის ზიანი გამოვლინდა, თუმცა დეპარტამენტმა შეცვალა მიდგომა და 2022 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახა მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად დაკისრებული ზიანი – 65 070 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მსგავსი ოპერაციებისთვის დეპარტამენტს გამოყენებული აქვს განსხვავებული მიდგომა“.

ხარვეზები მატერიალურ მარაგებში

ეროვნული სატყეო სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „მატერიალური მარაგების“ მუხლის 1 011 562 ლარის საბალანსო ღირებულების მქონე მარაგებთან დაკავშირებით, 2022 წელს ბრუნვა არ ფიქსირდება. მათ შორის არის 736 809 ლარის მზა პროდუქციის მარაგი, რომელიც შესაძლოა აღარ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმს, ვინაიდან გარემო პირობების ზემოქმედების შედეგად შესაძლოა დაზიანებულიყო და აღარ იყოს ვარგისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარეობს სავალდებულო ინვენტარიზაცია, რომლის შედეგების გათვალისწინებით დაზუსტდება აღნიშნული ნაშთი.

„სოფლის განვითარების სააგენტომ 2019 წელს სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიძინა სამი დანადგარი, ჯამური ღირებულებით 1 722 000 ლარი. აქტივები გადასაცემად იყო განკუთვნილი, შესაბამისად არც ექსპლუატაციაშია მიღებული და ცვეთაც არ ერიცხება. აქტივის მომავალ გამოყენებასთან დაკავშირებით სოფლის განვითარების სააგენტოს გეგმა არ აქვს შემუშავებული. სოფლის განვითარების სააგენტოს ბალანსზე აღრიცხულია 147 618 ლარის დაუმთავრებელი აქტივები, რომლებიც წარმოადგენს საწარმოების პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციას, რომელზეც ორი წელია ბრუნვა არ ფიქსირდება და შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს აქტივად აღიარების კრიტერიუმს“.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 231 973 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელზეც გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ვერ წარმოადგინა მიღების შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია.

ხარვეზები ძირითად აქტივებში

გარემოს ეროვნული სააგენტოს სახელზე რეგისტრირებულია ისეთი ძირითადი საშუალებები, 18 რომლებიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ აუდიტის მიმდინარეობისას აღნიშნული ძირითადი საშუალებები (მიწები) შეაფასა და 2023 წლის 20 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე ასახა ბალანსზე. მიწების ჯამურმა ღირებულებამ 2 552 917 ლარი შეადგინა. შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლი შემცირებულია 2 552 917 ლარით. კორექტირება მნიშვნელოვანია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარსადგენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაციის თვალსაზრისით.

დასასრული მე-7 გვერდზე

ფინანსური დარღვევები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში

მე-6 გვერდიდან

„2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები სოფლის განვითარების სააგენტოსთვის შეადგენს 848 484 ლარს, ხოლო დონორების პროექტისთვის მოკორესპოდენტო დებიტორული დავალიანება – 796 665 ლარს, რომელიც შემცირებულია 51 819 ლარით. აღნიშნული თანხები არ არის ელიმინირებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

გარდა ამისა, დონორების პროექტის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია სოფლის განვითარების სააგენტოსთვის 1 157 530 ლარის გრანტის სახით გაცემული ხარჯი, ხოლო სოფლის განვითარების სააგენტოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, დონორების პროექტიდან გრანტის სახით მიღებულმა შემოსავლებმა 747 650 ლარი შეადგინა. შესაბამისად, სოფლის განვითარების სააგენტოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტის სახით მიღებული შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 409 880 ლარით, რომელიც ასევე ექვემდებარება ელიმინირებას“.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორულ დავალიანებების“ მუხლი გაზრდილია 796 665 ლარით, „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი – 848 484 ლარით, ხოლო „გრანტის ხარჯის“ მუხლი – 409 880 ლარით.

სოფლის განვითარების სააგენტომ 2022 წელს მოთხოვნების ანგარიშზე აღრიცხა 2 935 186 ლარის თანხა, რომელიც უკავშირდება ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო გამოწერილ ჯარიმებს. სააგენტომ აღნიშნული თანხა შემოსავლის ნაცვლად ასახა ვალდებულებებში, რამაც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3 095 673 ლარი შეადგინა. ეს თანხა მოიცავს 339 066 ლარის დარიცხულ ჯარიმას, რომელიც უკავშირდება 2021 წლის პერიოდს და არ არის მიმდინარე პერიოდის შემოსავალი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის განვითარების სააგენტოს ჯარიმების დაფარვისას წარმოშობილი 1 031 842 ლარის შიდა ტრანსფერებით ხარჯები არ აქვს ასახული.

ხარვეზები შემოსავლებსა და გაცვლით ოპერაციებში

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები დონორი ორგანიზაციებისგან იღებენ სხვადასხვა დანიშნულებით გამოსაყენებელ მიზნობრივ გრანტებს, რომელთა სრულად ათვისება ერთ საანგარიშგებო პერიოდში არ ხორციელდება. წლის ბოლოს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები ზემოაღნიშნული მიზნობრივი გრანტის ნაშთს – 1 354 114 ლარს, ხაზინის მიმართ მოთხოვნად აღრიცხავენ და პარალელურად, ნაცვლად ვალდებულებისა, გრანტიდან მიღებულ შემოსავლად აღიარებენ. გარდა ამისა, სამინისტროს სტრუქტურულმა ერთეულებმა 2021 წელს აღიარეს მიზნობრივი გრანტის შესაბამისი შემოსავლები, რომლებიც მიეკუთვნებოდა 2022 წელს.

„გარემოს ეროვნული სააგენტოს დებულების თანახმად, სააგენტოს მოვალეობაში შედის სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის, თევზჭერის ლიცენზიის, ექსპორტის მიზნით სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზიების გაცემა და სხვ., რაც წარმოადგენს სახელმწიფო სახელით ფლობილ შემოსავლებს. გარემოს ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „გაცვლითი ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების“ მუხლი არ მოიცავს 10,337,540 ლარის ზემოაღნიშნულ შემოსავლებს, რადგანაც სააგენტო 2023 წლამდე არ აღრიცხავდა მსგავსი ტიპის შემოსავლებთან დაკავშირებულ გატარებებს.

სოფლის განვითარების სააგენტოს სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებული აქვს თანხა, რაზეც წლის განმავლობაში ერიცხება საპროცენტო სარგებელი. სოფლის განვითარების სააგენტოს 2022 წლის საპროცენტო შემოსავლები არ მოიცავს დეკემბრის საპროცენტო სარგებელს 112 661 ლარის ოდენობით და მოიცავს 4 990 ლარის შემოსავალს, რომელიც მიეკუთვნება 2021 წელს. შედეგად, „საპროცენტო შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 107 671 ლარით“.

სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხულია 5 509 985 ლარის 1996-2009 წლებში წარმოშობილი და ლიკვიდირებული ორგანიზაციების ბალანსებიდან გადმოსული ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები, მათ შორის, გაუცემელი შრომის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ბიუჯეტის წინაშე დარიცხული 5 272 247 ლარის ვალდებულებები.

„2022 წლის მოხსენებითი ბარათისა და ინვენტარიზაციის შედეგების განხილვის ოქმის საფუძველზე, სამინისტროს აპარატმა ზემოაღნიშნული ვალდებულებები ჩამოწერა, გადაიტანა საცნობარო მუხლში და აღიარა შესაბამისი შემოსავლები. პირობით ვალდებულებებში გადატანის საფუძვლად მითითებულია გარემოებები, რომლებიც სამინისტროს აპარატისთვის 2022 წლამდეც იყო ცნობილი. შესაბამისად, ზემოთ მითითებული თანხა უნდა გასწორებულიყო რეტროსპექტულად წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთის კორექტირების გზით. აღნიშნული კორექტირება მნიშვნელოვანია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარსადგენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებული წინა პერიოდის შესადარისი ინფორმაციის თვალსაზრისით“.

რეკომენდაციები

დარღვევების გამოვლენის შემდეგ, სახელმწიფო აუდიტორებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც უწყებამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

„დებიტორული დავალიანებების სათანადო კონტროლის მიზნით მნიშვნელოვანია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა წარმოშობის წლების მიხედვით შეისწავლოს მოთხოვნები, რომლებზეც პერიოდის განმავლობაში ბრუნვა არ ყოფილა, შეაფასოს რამდენად აკმაყოფილებენ დებიტორული დავალიანებები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს; ასევე უზრუნველყოს ერთიან სახაზინო კოდზე ჯარიმებთან დაკავშირებული ჩარიცხვების იდენტიფიცირება და დააკორექტიროს შესაბამისი მუხლი.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და აქტივების ეფექტიანი მართვის მიზნით, მიზანშეწონილია ეროვნულმა სატყეო სააგენტომ უზრუნველყოს მარაგების მომავალი გამოყენებისთვის იდენტიფიცირება უსარგებლო და გამოუსადეგარ მარაგებთან დაკავშირებით, შეაფასოს მათი შემდგომი განკარგვის საუკეთესო ალტერნატივები“.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ძირითადი აქტივებისა და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების გაუფასურების ინდიკატორების არსებობის დადგენა. სოფლის განვითარების სააგენტომ იმსჯელოს ძირითადი აქტივების ანგარიშზე აღრიცხული გამოუყენებელი დანადგარებისა და 147 618 ლარის დაუმთავრებელი აქტივების შესახებ, ხოლო სსიპ – გარემოს ეროვნულმა სააგენტომ – 231 973 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ აქტივების მომავალში გამოყენება შეუძლებელია, იმსჯელონ გამომწვევ მიზეზებზე და იმოქმედონ კანონმდებლობის შესაბამისად.

„ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ანალოგიურ ვითარებაში განხორციელებული მსგავსი ოპერაციებისა და მოვლენების მიმართ სამინისტრომ შეიმუშაოს და გამოიყენოს ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. კერძოდ, განსაზღვროს რესურსების გადინების/შემოსვლის ალბათობები და მათთან დაკავშირებული ვალდებულებების/აქტივების ტიპები“.

„მამული, ენა, სარწმუნოება“ – ილია ჭავჭავაძის შეგონებანი

სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსვემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.

* * *

ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ჰნიშნავდა მთელის საქართველოს მიწა-წყალს, ჰნიშნავდა ქართველობას. დღესაც, მთელს ამიერკავკასიაში ქართველი და ქრისტიანი ერთისა და იმავეს მნიშვნელობის სიტყვები არიან. გაქრისტიანების მაგიერ გეტყვიან: გაქართველდაო. ჩვენმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ მამული და ეროვნება, რჯულთან ერთად შეერთებული, რჯულთან შეხორც-შეთვისებული, უძლეველი ხმალია და შეულეწელი ფარია მტრისა წინაშე. სიტყვას ქადაგებისას, სწავლას, მოძღვრებას იგი სულ იმაზედ მოაქცევდა ხოლმე, რომ მამული და ეროვნება რჯულამდე გააპატიოსნოს, სარწმუნოებამდე აღამაღლოს, ასწიოს და ყოველივე ამ სამს წმინდას და უდიდეს საგანს, ერთად შეერთებულს, თავდადებით ამსახუროს, თავგანწირვით ამოქმედოს.

აი, სად და რაში ჰპოულობდა ჩვენი უწინდელი სამღვდელოება თავის სულიერს და ხორციელს ღონეს, თავის ძლიერებას, პატივისცემას! აი, როგორ გაიმაგრა სამღვდელოებამ სარწმუნოება ქრისტეში ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც გარშემო ვეშაპი მტრები ეხვივნენ და ჰლამობდნენ, ქრისტიანობა ძირიანად ამოეგდოთ. აი, რამ მოაგერიენებინა ამ პატარა ქვეყანას აუარებელი მტერი! მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებას, და ეგრეთ მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაინძღვარა წინ, ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა.

* * *

საქართველოს ერმა გადაიხსნა გული, შიგ განიბნივა იგი ჯვარი პატიოსანი და თვითონაც ჯვარს ეცვა და არავის კი არ შეარყევინა არც თავისი გული და არც გულში ღრმად და მკვიდრად გაბნეული ჯვარი. მას აქეთ თხუთმეტი საუკუნე გულში ჯვრით და ხელში ხმლით იბრძოდა, ღვწოდა, სისხლსა ჰღვრიდა ქართველი კაცი და ნათელი ბნელზედ ვერავინ შეაცვლევინა.

ჩვენი ისტორიის სახელი და დიდება, ჩვენთა დიდებულთა წინაპართა სასწაულმოქმედი მხნეობა, თავგანწირვა, თავდადება, ვაჟკაცობა სულ იმ ნათლით არის გასხივოსნებული, იმ შარავანდედით არის მოსილი, რომელიც „ძელმა ჭეშმარიტებისამ“, წმინდა ნინოს მადლით და ღვაწლით აღმართულმა, მოჰფინა მთელს ჩვენს ქვეყანასა. ამ ძელზე სხივოსანის ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია ყოველს მცნებაზედ: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

ამ მცნების მოძღვარს ეთაყვანებოდა ჩვენი ქვეყანა, იგი აღიარა ღმერთად და იმას აუნთო თავისი გული წმინდა სანთლად, რომელიც დღეს აქამომდე არ გამქრალა და არც გაჰქრება, მინამ არ გაჰქრება თვითონ ქართველიცა. ამ კაცთმოყვარე ღმერთისათვის იწამა ჩვენი ქვეყანა, ამას ანაცვალა, მას შესწირა ყოველივე, რაც კი ადამიანს საბედნიეროდ აქვს მონიჭებული, ეკლის გვირგვინი დაიდგა თავზედ, თხუთმეტი საუკუნე გულგაუდრეკლად ატარა თავ-პირდასისხლიანებულმა ჩვენს დრომდე შეუმწიკვლელად მოიტანა

* * *

დიდი წამება დიდბუნოვნების ნიშანია, როგორც დიდი ძლევამოსილება. დიდი წამება იგივ დიდი გამარჯვებაა, რომელიც წილად ხვდება ხოლმე დიდბუნოვანს კაცსა, ხოლო გამარჯვებული ბედნიერია იმიტომ, რომ თვითონაც სტკბება მით, რაც გამარჯვებას მოაქვს, და წამებული კი თვით იწვის სანთელსავით და სხვას კი გზას უნათებს.

ამიტომაც ეკლიანი გვირგვინი წამებულისა უფრო უანგაროა, უფრო მიმზიდველია, უფრო საგულმტკივნეულოა და, მაშასადამე, უფრო მშვენიერი, სასახელო და სადიდებელი. მარტო ამ წამებულთა ჰლოცულობს კაცობრიობა, მარტო ამ წამებულთა აღიარებს იგი წმინდანებად და თაყვანს სცემს ლოცვითა და კურთხევითა.

ეკლიანი გვირგვინი, ჩვენს დღემდე მოტანილი ჩვენთა წინაპართაგან, ამ მშვენიერებითა ჰშვენის, ამ სახელითა სახელოვნობს, ამ დიდებით ჰდიდებულობს. თუ ვისმე სამართლიანად ეთქმის, რომ თვით დაიწვნენ და სხვას კი გზა გაუნათესო, ეს ჩვენს მამა-პაპას ეთქმის და მადლობელნი შვილნი ლმობიერებით პირქვე უნდა დავემხოთ მათ საფლავთა წინაშე და ვუგალობოთ დიდება დიდებულთა და ქება ქებულთა.

* * *

მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალის ცხოვრებისათვის. ქართველმა არ რჯულს, ამ ახალს აღთქმას, შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც-კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის-დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი ერთმანეთის ღირსი საგანი ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა – რჯულის დაცვად. რჯული ჩვენი მამულის, ჩვენი ეროვნების ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის.

* * *

წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმა უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხონებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალ-ღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა. და, აი, ათასხუთასი წელიწადია, ამ ძალ-ღონით ქრისტიანობამ შემოგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნობა.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავსითავად დიდი ღვაწლია, და რომ ქრისტიანობამ ქვითკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობა გაგვიძღვა მამულისა და ეროვნების შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ. აი რით არის მართლა სადიდებელი, მართლა სადიდ-დღესასაწაულო იგი დღე, როდესაც ჩვენი ეკლესია დიდებით იხსენიებს ამ მოციქულთა-სწორს ქალწულსა. ამა ღვთაებურის მადლით მოსილმა მოციქულმა დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისას და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე.

* * *

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენს ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღეღეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კირად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემუსრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისთვის და ერთმა მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენს სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმომწონებით ვეძახით.

* * *

სარწმუნოებსი სხვა-და-სხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა, თავის სარწმუნოებისათვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც. ამიტომაც ჩვენს ისტორიაში არ არის მაგალითი, რომ ქართველს სურვებიყოს ოდესმე სხვისა სარწმუნოების დაჩაგვრა და დევნა. სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანნიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი – აქ ჩვენში ჰპოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა.

* * *

საქართველო, როცა-კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა ზედმოსევისა და მოგერიებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს აღსარების განმტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღრტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ გამავრცელებლად და მოსარჩლედ მართლმადიდებელის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ ბალკანეთის ნახევარკუნძული თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც ჰმოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის. აქ ყველგან მრავალგვარი ნაშთია დღესაც უტყვ, მაგრამ უტყუარ მოწამედ იმისა, რომ გულმოდგინებას ქართველებისას სარწმუნოებისათვის შორსაც გაუდგამს ფეხი და ხელი გაუწვდენია. მონასტრები, ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებულნი, არა ერთი და ორი დღესაც ჰღაღადებს ათონის მთაზედ, სინაზდ, სირიაში, იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თაგვამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწნიათ თავის ქვეყნის გარეთაც სადიდებლად თვისის სარწმუნოებისა.

* * *

„ვით მამა ზეცისა იყავნ შენც სრული“ – აი თავი და ბოლო ადამიანის ცხოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, ცალკე ადამიანია თუ მთელი ერი, – ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, – აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა.

* * *

ადამიანი და ნამეტნავად ერი არა მარტო „პურითა ერთითა ცოცხალ არს“. მართალია, მშიერი დიდს მანძილს ვერ გაივლის ამ მადლისა და ბოროტების ჭიდილის გზაზე, მაგრამ უმადლოდაც, როგორც ხორცი უსულოდ, არაფრის მაქნისია. ცხოვრება ერთიანი მდინარეა ორის დიდის ტოტისა: ერთს რომ ხორცისათვის მოაქვს საზრდო, მეორეს სულისათვის. თუ ან ერთი დაშრა, ან მეორე, – გვამი ერისა მკვდარია, ვითარცა უსულოდ ხორცი და უხორცოდ სული, სააქაოსათვის მაინცა. ამიტომაც, ვინცა ჰჩივის და ჰღაღადებს სახოციელო პურისათვის, ის იმდენადვე, თუ არ მეტად, უნდა იღვწოდეს სასულიერო პურისათვისაც. ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური სჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმისათვის, რომ კაცურ-კაცად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი.

* * *

ღმერთს შენთვის გონება, გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული – გაგითბობს, ღმერთი ძლიერია... ყველას გულში, – ბატონია თუ ყმა, მე ვარ თუ შენა, – ღვთისგან ანთებული ცეცხლი ანთია; ის ცეცხლი არ უნდა გავაქროთ, თუ რომ გვინდა პირნათლად შევეყაროთ ჩვენ გამჩენსა, ის ცეცხლი მეც, შენც და სხვასაცა ხანდახან იმისთანა საქმეს გვაქმნევინებს, რომ ქვეყანას აკვირვებს... რა ვუყოთ, რომ მე და შენ დღეს პატარები ვართ? ვინ იცის... ხვალ ბედი რომ გადატრიალდება, ვინ წინ მოექცევა და ვინ უკან?.. რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა.

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№11 1 მაისი 2024 წ

ლაზარეს საქმე

რატომ შეიწყალა პრეზიდენტმა აქტივისტი და როგორ ექცევიან ციხეში ცნობილ პატიმრებს

ბათო ჯაფარიძე

გასულ კვირას, სასჯელაღსრულების დაწესებულება ლაზარე გრიგორიადისმა დატოვა. ვიღაცისთვის ის გმირი და პოლიტპატიმარია, ვიღაცისთვის – ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი კრიმინალი და როგორც ბევრ სხვა რამეში, აქაც მოსახლეობის აზრი ორად არის გაყოფილი... შევეცდებით, აგიხსნათ, რას ფიქრობენ ამ დროს ციხეში მყოფი პატიმრები და როგორი დამოკიდებულება აქვთ თავისუფლებაზე მყოფ კრიმინალებს ასეთ დროს, რას ფიქრობენ და რა მოტივაცია უჩნდებათ სამომავლოდ.

ცოტა შორიდან დავიწყოთ ანუ 2012 წლის ოქტომბრიდან. ჰო, სწორედ იმ დროდიან, როცა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, მაგრამ მაშინ „ოცნებამ“ „მხოლოდ“ საპარლამენტო უმრავლესობა მოიპოვა, პრეზიდენტად კი კვლავ მიხეილ სააკაშვილი იყო და ეს წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა – მიშა თანამდებობაზე 2013 წლის 17 ნოემბრამდე იყო ანუ წელიწადზე მეტი, სააკაშვილს ჰქონდა შესაძლებლობა, „ოცნების“ მმართველობის პირობებში, ციხიდან გაეთავისუფლებინა ნებისმიერი, ვის გათავისუფლებასაც კი მოისურვებდა. ამ ერთ წელიწადში, სააკაშვილმა ათასზე მეტი პატიმარი შეიწყალა, თუმცა არჩევნებიდან სამ თვეში, ერთ დღეში, ციხიდან 519 პატიმარი შეიწყალა და აქედან 38 გასამართლებული იყო განზრახ მკვლელობის მუხლით, 11 პატიმარი – განზრახ მკვლელობისთვის დამამძიმებელ გარემოებებში, 364 პატიმარი – ქურდობისთვის, 94 პატიმარი – ყაჩაღობისთვის, 2 პატიმარი – ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობისთვის.

შეწყალებულთა შორის მოხვდა პირი, რომელიც ჯარისკაცების წამების გამო, 16-წლიან სასჯელს იხდიდა. მაშინ ბევრი ამბობდა, რომ სააკაშვილის უახლოესი გარემცოვა უზარმაზარ ფულს აკეთებდა და მიშასთან ყოველდღიურად მიჰქონდათ სიები, ვითომ სამომავლოდ, ეს ხალხი არჩევნებში დამარცხებულ პარტიას წაადგებოდა და სააკაშვილიც ხელს აწერდა, ვიღაცები კი მდიდრდებოდნენ. ნუ ვივარაუდებთ, რომ პირებისგან, რომლებისგანაც 200 და 300 ათასი დოლარი აიღეს, პრეზიდენტს ინფორმაცია არ ჰქონოდა და თან ისეთი გულუბრყვილო ყოფილიყო, ხელის ყოველ მოწერაზე არ ეფიქრა, რომ მისი გარემოცვა ფულს აკეთებდა. თანაც, სააკაშვილი ყველაზე კარგად მიხვდებოდა, რომ თუ ეს ხალხი პარტიას სჭირდებოდა, მათ საპარლამენტო არჩევნებამდე გამოაშვებინებდნენ მისი გარემოცვის წევრები და არა – არჩევნების წაგების შემდეგ. სხვათა შორის, ამის გამო, სააკაშვილისთვის პასუხი არავის მოუთხოვია და არც მომავალში მოსთხოვს, ზუსტად ისე, როგორც მის წინამორბედ ედუარდ შევარდნაძეს და მის მემკვიდრე გიორგი მარგველაშვილს. ჰო, გიორგი მარგველაშვილს, რომელმაც პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობის დროს, 4 181 პატიმარი შეიწყალა და მათ შორის, ცოლის ძმაც. ზეწოლისა თუ მოწოდებების მიუხედავად, მარგველაშვილმა არ შეიწყალა დეკანოზი გიორგი მამალაძე და ის არც სალომე ზურაბიშვილმა შეიწყალა, თუმცა...

ვერც სააკაშვილის და ვერც მარგველაშვილის კარიერაში ვერ ვიხსენებთ პრეცენდენტს, როცა პრეზიდენტს განაჩენის გამოცხადებიდან ათ წუთში, თუ ნახევარ საათში, დაეანონსებინოს, მსჯავრდებულ პატიმარს შევიწყალებო. თანაც, ეს განცხადება გააკეთა მაშინ, როცა გრიგორიადისის განაჩენზე საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია იყო და ქალბატონმა სალომემ, ადამიანებს სასამართლოს გადაწყვეტილების გააზრებაც კი არ აცადა. ანონსის მიუხედავად, სასამართლომ ბოლომდე გამოიყენა განაჩენის გამოქვეყნებისთვის განკუთვნილი ვადა და ზურაბიშვილმაც მხოლოდ მაშინ მოახერხა შეწყალებისთვის ხელის მოწერა, როცა განაჩენის გამოქვეყნებისთვის ვადა გავიდა და ლაზარეს სასჯელმა ფურცელზე დღის სინათლე იხილა.

არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ, მაგრამ დავუშვათ, სულ ერთი წუთით დავუშვათ, რომ ლაზარე გრიგორიადისმა მართლაც ისროლა „მოლოტოვის კოქტეილი“ სამართალდამცავებისკენ და მათი ცოცხლად დაწვა სცადა. გამოდის, რომ პრეზიდენტმა შეიწყალა ადამიანი, ვისაც მკვლელობის წარუმატებელი მცდლობა ჰქონდა. ამ ეპიზოდთან დაკავშირებით კითხვები თუ არსებობს, კითხვის ნიშნების გარეშეა, გრიგორიადისის მიერ მამის დაჭრის ფაქტი, რომელიც მანაც აღიარა, მამამაც და რაც მთავარია, მამამ თქვა, დავიმსახურე და იმიტომ დამჭრაო. ვერ გეტყვით, როგორ უნდა დაიმსახუროს მამამ შვილისგან დანის დარტყმა, მაგრამ ფაქტია, ასე მოხდა ანუ თუ დავუშვებთ იმას, რომ ლაზარემ ცეცხლმოკიდებული ბოთლი ისროლა, მანამდე კი მამა დაჭრა, გამოდის, პრეზიდენტმა თავისუფლებაზე გამოუშვა პირი, რომელსაც შეუძლია, თვალის დახამხამების გარეშე, სასიკვდილოდ გაიმეტოს მამა და სამართალდამცავები. ნიშნავს ეს იმას თუ არა, რომ შეწყალებით გათამამებული გრიგორიადისი, მომავალში დანაშაულს კიდევ ჩაიდენს და ჩაიდენს იმის იმედად, რომ ის ევროპამ და ქართულმა ოპოზიციამ პოლიტპატიმრად და გმირად მონათლა? რა თქმა უნდა, გადაჭრით ამის მტკიცება ძნელია, მაგრამ... შანსი არის და ასე რომ მოხდეს, მერე რას იტყვის პრეზიდენტი?

ზოგადად, როცა სასჯელს იხდის ისეთი პატიმარი, რომელზეც მთელმა ქვეყანამ იცის, რომ დანაშაული არ ჩაუდენია, მათ მიმართ კოლეგების დამოკიდებულება განსხვავებულია. ისინი ცდილობენ, უდანაშაულო პატიმარს ყოფა შეუმსუბუქონ, გულშემატკივრობენ, რჩევებს აძლევენ, მაგრამ თუ იციან, რომ პატიმარი დამნაშავეა და მხოლოდ თავისუფლებისთვის ცდილობს ყველასა და ყველაფრის მოტყუებას, პატივისცემაც იკარგება და მეტიც, ცდილობენ, გააღიზიანონ, მუდმივად ახსენებენ, რომ არასწორი თამაშის წესებით მოქმედება არ არის კაცური, თუმცა... ეს ყველაფერი ზონაზე ხდება და არა – ციხეზე, გრიგორიადისი კი ზონაზე არ იყო, მთელი სასჯელი ციხეზე გაატარა, დახურული ტიპის დაწესებულებაში და ამიტომ, მას ნაკლებად ექნებოდა ურთიერთობა სხვა პატიმრებთან, მხოლოდ თანასაკნელებთან ექნებოდა კონტაქტი.

საინტერესოა ის განცხადებაც, რომელიც მან ციხიდან გამოსვლის შემდეგ გააკეთა და აღნიშნა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ბევრი პრობლემაა და მოგვიანებით ვისაუბრებო. მოგვიანებით კი თქვა, რომ მთავარი პრობლემა, თურმე, ის გახლდათ, მისთვის სასურველ მუსიკას რომ ვერ უსმენდა. ვინც არ იცის, ვეტყვით, იმ დაწესებულებაში, სადაც გრიგორიადისი იხდიდა სასჯელს, 2012 წლამდე, მუსიკას საერთოდ არ უსმენდნენ და საკმარისი იყო, ჩვეულებრივად ესაუბრათ და არა ჩურჩულით, რომ საკანში ციხის რეჟიმის წარმომადგენლეები შესულიყვნენ, რეჟიმის უფროსის, ოლეგ ფაცაციას ხელმძღვანელობით და პატიმრები უმოწყალოდ ეცემათ. 2012 წლამდე, გამორიცხული იყო, გრიგორიადისი ციხიდან ისეთი ვარცხნილობით გამოსულიყო, როგორითაც გამოვიდა, რადგან რეჟიმი კატეგორიულად ითხოვდა, თმა ნულზე ყოფილიყო გადაპარსული, ზუსტად ისე, როგორც წვერი და თუ წვერს ყოველ მეორე დღეს არ გაიპარსავდი, თანასაკნელებთან ერთად, უმოწყალოდ იცემებოდი. არავინ ამბობს, რომ რეჟიმი ის იყო, როდესაც გაცინებისთვის გცემდნენ, ხმამაღლა საუბრისთვის გცემდნენ, ღამით ლოცვისთის გცემდნენ, სანთლის ანთებისთვის გცემდნენ, ხატებს ძირს ყრიდნენ და წიხლით დგებოდნენ, ოჯახის წევრების ფოტოებს თავზე ახევდნენ... და გრიგორიადისს საყვარელი მუსიკის მოსმენის შესაძლებლობა არ ჰქონია... ისე, ზონაზე რომ წასულიყო, ამის შესაძლებლობა ექნებოდა, რადგან იქ ტელევიზორების შეტანის უფლება აქვთ, რომელსაც მეხსიერების ბარათი უერთდება და მეხსიერების ბარათზე კიდევ, რასაც ეტყვით ახლობლებს, იმას ჩაწერენ და მოგაწვდიან. ჰო, ეს არის ცივილური ფორმა, რომელიც 2012 წლამდე არ იყო და... 2012 წლამდე, ციხეში ტელევიზორიც არ იყო და მისი ნახვა მხოლოდ ღია, ან ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში შეიძლებოდა.

სხვათა შორის, პოლიციელთა აბსოლუტური უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტი არასწორად მოიქცა. მეტიც, ისინი ამბობენ, გრიგორიადისის დედის რეაქცია რომ აჩვენეს ზურაბიშვილის განცხადებაზე შეწყალებასთან დაკავშირებით, იმ ბიჭების დედების რეაქცია რატომ არ ანახეს, რომელთა დაწვასაც ლაზარე ცდილობდაო? ძალოვნებს არ სჯერათ, რომ გრიგორიადისი დამნაშავე არ არის და არანაირად არ ამართლებენ პრეზიდენტს.

თან, ეს ისეთი შემთხვევაა, შეიძლება, გარკვეული დროის შემდეგ გავიგოთ, შეცდა თუ არა პრეზიდენტი, ან ვერასდროს გავიგოთ, მაგრამ ყველაზე მეტად, იცით, რა არ მესმის? საკმარისია, ვიღაც ერთხელ, ორჯერ, ან სამჯეერ გამოჩნდეს ტელევიზიით, რომ მაშინვე პოლიტიკაში მივდივარო, განცხადებას აკეთებს და რომელიმე პარტიაში ერთიანდება. არადა, პოლიტიკა მარტივი საქმე არ არის და ასე, შემთხვევით მოხვედრილი ხალხი რომ არის უმრავლესობა, სავარაუდოდ, იმიტომაც ვართ იქ, სადაც ვართ და იმიტომაც ვტრიალებთ ერთ წრეზე, 30 წელზე მეტია. ლაზარეს ასაკში, პოლიტიკური განცხადებების კეთება და ამბიცია, რომ მე პოლიტიკაში მივდივარ და ქვეყნის ბედი უნდა გადავწყვიტო, უბრალოდ, აბსურდულია. კი ვაგინებთ დღემდე კომუნისტებს, მაგრამ სერიოზულ თანამდებობებზე ანუ იქ, სადაც მართლა პოლიტიკა კეთდებოდა, 60 წელს მიღწეულ ადამიანებს ნიშნავდნენ, გამოცდილებით, სტაჟით, ათასჯერ გადამოწმებულს და გამოწრთობილს. 20-22 წლის გოგო-ბიჭებს მაშინ პილიტიკოსობა კი არა, საზოგადოებრივი საპირფარეშოს დირექტორის მოადგილეობას არავინ აღირსებდა.

ბათო ჯაფარიძე

დაქირავებული დამნაშავე

რისთვის გადაუხადა სასიდედრომ სანტექნიკოსს სამი ათასი და რა შეცდომა დაუშვა მამაკაცმა

ალბათ, ასე მხოლოდ საქართველოში არ ხდება. მშობლები ხშირად ცდილობენ, ჩაერიონ შვილების ცხოვრებაში, მონაწილეობა მიიღონ საცოლისა თუ საქმროს შერჩევაში და დაზუსტებით გეტყვით – დღემდე არსებობს ტრადიცია, რომლის მიხედვითაც, სიძე პატარძალს (ან პირიქით) ხშირად არ იცნობს, უბრალოდ, მშობლებისგან იცის, რომ ის კარგი ოჯახის შვილია და ცოლად მოჰყავს. მერე ირკვევა, რომ მათ სხვადასხვა ინტერესი აქვთ, რომ ან ბიჭია უვარგისი, ან გოგო არ არის ისეთი, როგორსაც ელოდნენ და ამიტომაცაა, საქართველოში ოჯახების დანგრევის რეკორდები წლიდან წლამდე რომ იხსნება. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, დაახლოებით, ასეთი წინაპირობა ჰქონდა, თუმცა... არცთუ იშვიათად, შვილები მშობლების წინააღმდეგ, უბრალოდ, პრინციპის გამო მიდიან.

ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, შინ ბრუნდებოდა, როცა გზაზე ორი ჯანიანი კაცი გადაუდგა და ყოველგვარი კითხვის ან გაფრთხილების გარეშე, ცემა დაუწყო. მეტიც, ბიჭს თავში რაღაც მძიმე საგანი ჩაარტყეს, აზრზე კი საავადმყოფოში მოვიდა და ძალიან გაუკვირდა, როცა მაჯაზე ბორკილი ეკეთა, რომელიც რკინის ლოგინზე იყო მიმაგრებული. იქვე, ექთანთან ერთად, მილიციის ფორმაში ჩაცმული მამაკაცი იმყოფებოდა, რომელმაც მშვიდად შეხედა და უთხრა, რომ ის მკვლელობის მცდელობისთვის იყო დაკავებული. ახალგაზრდამ გაოცებისგან პირი დააღო, რადგან კარგად ახსოვდა, როგორ გათიშეს და შესაბამისად, არავის დაზიანება შეეძლო, მაგრამ ძალოვანმა აუხსნა, ხელში იარაღი გიპოვეთ, რომელზეც მხოლოდ შენი ანაბეჭდები იყო და ორჯერ გასროლაც მოასწარი, რასაც შენს თითებზე არსებული დენთის კვალიც ადასტურებსო. რაც მთავარია, საქმეში იყო მოწმეც, რომელიც ამბობდა, რომ ბიჭი მას თავს დაესხა, ჯერ მუშტი დაარტყა სახეში ისე, რომ თვალი ჩაულურჯა, შემდეგ, იარაღი ამოიღო და მოწმე იძულებული გახდა, რკინის მძიმე ნაჭერი, რომელიც თან მიჰქონდა, თავდამსხმელისთვის თავში ჩაერტყა, თუმცა მისივე თქმით, თავდამსხმელმა ერთი გასროლა მოასწრო, მეორედ კი იარაღი მაშინ გავარდა, როცა ის უგონოდ დაეცა. დაზარალებულმა მილიციაში დარეკა და ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა, ეჭვმიტანილი სწორედ იარაღით ხელში დააკავეს. უფრო სწორედ, ის გათიშული იყო და ხელში იარაღი ჰქონდა.

ერთი შეხედვით, საქმე ძალიან მარტივი და ადვილად გამოსაძიებელი იყო, მაგრამ პირველივე დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ყველაფერი ასე მარტივად არ გახლდათ. უბნის რწმუნებულმა არ დაიზარა და საერთო საცხოვრებლის ბინადრები გამოჰკითხა. მართალია, ჩხუბისთვის თვალი არავის მოუკრავს, მაგრამ ყველა ერთსა და იმავეს იმეორებდა – პირველი გასროლის შემდეგ, მეორე გასროლამდე, ყველაზე ცოტა, 30 წამი გავიდაო ანუ გამოდიოდა, რომ უკვე გათიშული და მიწაზე მყოფი ახალგაზრდა ისროდა, რაც გამორიცხული გახლდათ. ამასთან ერთად, ბიჭს ყველა დადებითად ახასიათებდა, ამბობდნენ, გამორიცხულია, ვინმეს თავს დასხმოდა და რაც მთავარია, მის ხელში იარაღი არასდროს გვინახავსო. ოთახის დათვალიერების შემდეგ, უბნის რწმუნებული დარწმუნდა, რომ იქ იარაღს კი არა, ნემსს ვერ დამალავდა კაცი, რადგან რკინის ორი ლოგინის, კარებმონგრეული ტუმბოსა და სამი სკამის მეტი, არაფერი იდგა.

გამომძიებელმა მოწმე ახლიდან დაჰკითხა, მაგრამ მან იგივე გაიმეორა და რაც მთავარია, დეტალები არ ეშლებოდა, არ ერეოდა. აი, თავდამსხმელი რომ ამბობდა, ორი კაცი დამხვდა საცემრადო, მოწმე უარყოფდა, მარტო ვიყავი, არავინ მახლდაო, ანუ ერთ-ერთი აშკარად ტყუოდა, მაგრამ რომელი და რატომ? დაზარალებული ანუ მთავარი მოწმე, პროფესიით სანტექნიკოსი იყო, წარსულში არც ნასამართლევი გახლდათ, არც კანონთან ჰქონია რამე პრობლემა, ზუსტად ისე, როგორც ეჭვმიტანილს. მათ არც გასაყოფი უნდა ჰქონოდათ რამე და მაშინ, როცა ძიება თავს იმტვრევდა, ექსპერტიზის დასკვნა მოვიდა. იარაღი, რომელიც თავდამსხმელის ხელში ნახეს, სხვა საქმეშიც გადიოდა – ორი წლის წინ, იმ იარაღით ერთ-ერთ სოფელში, 60 წლამდე კაცი მოკლეს. შემთხვევა ძალიან უცნაურად მოხდა, სოფლის მკვიდრის გასვენება იყო, ამ დროს, ვიღაცამ გაისროლა და მოხუცი წაიქცა, მისი გადარჩენა კი ვერ შეძლეს. ტყვიამ ბარძაყზე არტერია გაუგლიჯა და სანამ სასწრაფო მოვიდა, კაცი სისხლისგან დაიცალა.

ამ ინფორმაციამ გამოძიებას იმედი მისცა, რადგან... თავდასხმაში ეჭვმიტანილი სწორედ იმ სოფლიდან იყო, სადაც დანაშაული მოხდა, გარდაცვლილიც ენათესავებოდა და ისიც გაირკვა, რომ გასვენებაში იმყოფებოდა. როცა გამომძიებელმა მას ძველი ამბავი გაახსენა, ბიჭმა დაადასტურა, კი, გასვენებაში ვიყავი, სხვათა შორის, მაშინ იქ კაცი მოკლესო და ლამის კედლებზე გაიარა, როცა იმ კაცის მკვლელობაშიც დასდეს ბრალი, აქაოდა, იარაღი,რომელიც შენ გეჭირა, სწორედ იმ საქმეში გადიოდაო. ბიჭი ყოველნაირად ცდილობდა, საკუთარი უდანაშაულობა დაემტკიცებინა, მაგრამ ყველა სამხილი და რაც მთავარია, მოწმე მის წინააღმდეგ იყო.

თუმცა მედალს მეორე მხარეც ჰქონდა – ძალოვნებს მოსვენებას არ აძლევდა გასროლილ ორ ტყვიას შორის არსებული დრო და რაც მთავარია მოტივი, რომელიც ეჭვმიტანილს აშკარად არ ჰქონდა. სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, მოწმესთვის ცალკე ეთვალთვალათ და ბიჭისთვის, რომელიც ეჭვმიტანილთან ერთად ცხოვრობდა – ცალკე. ოთახის მეგობარი ახალგაზრდა გოგოს შეხვდა სკვერში, შემდეგ სახლში მიაცილა და ამბავიც იქ დაიწყო – გოგონას დედამ კივილი მორთო, ჩემს შვილს შეეშვი შე უსაქმურო, როდემდე უნდა გარჩინოს ამან შენ და მე კიდევ – ესო. გოგო ბიჭის მხარეს დადგა და ახალგაზრდა კაციც უხერხული ღიმილით გაეცალა იქაურობას. მალე, ბინიდან დედაც გამოვიდა და... საქმის მთავარ მოწმეს შეხვდა.

„ეგ არის შენი პირობა? რაში გადაგიხადე ამდენი ფული? ის იდიოტი ისევ ჩემს შვილს დასდევს, ისევ მასთან ერთად არის. აბა, შევაშინებო, დავაჭერინებო, რომ შემპირდი? ახლავე ფული დამიბრუნე, ან ის ბიჭი მოაცილე“, – ქალი ლამის ყვიროდა, კაცი კი გაოცებით უმზერდა, მერე კი ჩუმად ჰკითხა – „რა ბიჭი, რის ბიჭი? ის ბიჭი დაჭერილია, მკვლელობის მცდელობის ბრალდება აქვს და კიდევ რაღაც საქმე ამოუქექეს, ხომ არ გეშლება, შენს შვილს, ეგებ, სხვა უყვარს? როგორც მითხარი, მწვანე სპორტულებით ახალგაზრდა კაცი, საერთო საცხოვრებელთან ეგ იყო და გავაკეთე ის, რაც უნდა გამეკეთებინა“...

სამართალდამცავებმა კვლავ დაკავებული დაჰკითხეს და მან გულუბრყვილოდ აღიარა, ჩემი ტანსაცმელი გავრეცხე და სანამ ოთახის მეგობარი შინ დაბრუნდებოდა, მისი მწვანე სპორტულები ჩავიცვი და გარეთ ისე გავედიო. ცხადი გახდა, რომ თავდამსხმელს მსხვერპლი შეეშალა და ისიც ნათელი იყო, რომ ბიჭს ყველაფერი მოუწყვეს, თუმცა ძალოვნებმა იცოდნენ, რომ საქმე მხოლოდ შეცდომაში არ იყო, მათ ხელთ ჰქონდათ იარაღი, რომლითაც რამდენიმე წლის წინ, მკვლელობა მოხდა, იმ იარაღის მფლობელისთვის უნდა მიეგნოთ და საქმე გაეხსნათ. ამიტომ, მოწმე კვლავ დასაკითხად დაიბარეს და... ბორკილები დაადეს.

„ბიჭი ვცემე, მაგას ვაღიარებ, მაგრამ მკვლელობას არ შევიტენი. ეგ იარაღი ჩემმა ნაცნობმა მომყიდა და ამ საქმისთვის მჭირდებოდა, მინდოდა, ჩხუბისთვის თუ არა, იარაღისთვის მაინც ჩაესვათ ციხეში ის ბიჭი. ახლა ვხვდები, რომ მსხვერპლი ამერია და სხვას გავუჩალიჩე“, – განაცხადა მოწმიდან მთავარ ეჭვმიტანილზე გადაკვალიფიცირებულმა პირმა.

მისი ნაცნობი, რომელმაც იარაღი გაყიდა, მალე დაიკავეს და მკვლელობაც მარტივად დაუმტკიცეს. ისიც იმავე სოფლიდან აღმოჩნდა, რომლიდანაც ნაცემი ბიჭი და როგორც თავად თქვა, სასაფლაოზე იარაღი შემთხვევით გაუვარდა, მერე კი ისე, რომ არავისთვის არაფერი უთქვამს, თბილისში წამოვიდა და თანასოფლელის სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, იარაღი საგულდაგულოდ გადამალა, ახლა კი, ფული დასჭირდა და გამოაჩინა. არ გაყიდდა, მის მეგობრს რომ არ ეთქვა, მხოლოდ შესაშინებლად მინდა, მერე გადავაგდებო. ყველაფერი კი ძალიან მარტივი დაგეგმილი გახლდათ.

მოკლედ, გოგონას დედამ გადაწყვიტა, არასასურველი სასიძო მოეშორებინა, ამიტომ ნაცნობ სანტექნიკოსს გაურიგდა, შენ ეგ ბიჭი შემიშინე, გალახე და სამი ათას მანეთს მოგცემო. სანტექნიკოსმაც მარტივი დავალების შესრულების ნაცვლად, მთელი კომბინაცია მოიფიქრა, იარაღის ჩადებითა და საქმის ისე შეტრიალებით, რომ ბიჭი ციხეში უნდა მოხვედრილიყო, მაგრამ მსხვერპლი აერია და ყველაფერი ამის შემდეგ დაიწყო. საბოლოო ჯამში, ძიებამ სიმართლე დაადგინა, თუმცა...

მას შემდეგ, რაც გოგონამ სიმართლე გაიგო, ნაცვლად იმისა, რომ დედას დამდურებოდა, შეყვარებულს დაშორდა, რადგან მიხვდა, მშობელი თავს ასე არ გადადებდა შვილი ბიჭისგან რომ დაეხსნა, თუ უფრო სერიოზული მოტივი არ ექნებოდა. მართლაც, მერე გაირკვა, რომ ბიჭს, რომელიც გოგოს სიყვარულს ეფიცებოდა, საცოლე ჰყავდა და გოგოსგან მხოლოდ გარკვეული თანხის წამოღება სურდა, რომლითაც... საცოლისთვის, დაბადების დღეზე, ბრილიანტის ბეჭედი უნდა ეყიდა და ხელი ეთხოვა. სამართალდამცავები ამბობდნენ, ეს ჭორის დონეზე გავიგეთ და აღარ ჩავძიებულვართ, რადგან კრიმინალის ნიშნები არ იყოო.

ბათო ჯაფარიძე

კარგი მეზობელი შორეულ ნათესავს სჯობსო, ხომ გაგიგიათ? კარგი მეზობლობა, განსაკუთრებით საქართველოში, ახალი ხილი არაა და არცთუ იშვიათად ყოფილა, რომ მეზობლები ერთმანეთს ნათელ-მირონით დანათესავებიან, მაგრამ... ყოფილა შემთხვევები, როცა მეზობლები სამკვდრო-სასიცოცხლოდაც წაჰკიდებიან ერთმანეთს და საქმე ხშირად სასამართლომდე მისულა. ამის მიზეზი, შესაძლოა, ბევრი იყოს, მაგრამ არცთუ იშვიათად – იმდენად უმნიშვნელო და ბანალური, რომ სათქმელადაც არ ღირს. ისტორიას, რომელსაც ახლა გიამბობთ, წესითა და რიგით, სისხლის სამართლის დამნაშავე უნდა ჰყოლოდა, მაგრამ...

როგორ იძია ქალმა დაქალზე შური, რომელიც ქმრის წართმევას ცდილობდა

მოულოდნელად გახსნილი დანაშაული და ბრალდებულის აღიარება

ასაკოვანმა ქალბატონმა პოლიციის განყოფილებაში დარეკა, ჩემი კარის მეზობლის ბინიდან კვამლი გამოდის, კარი რკინისაა, ვერ ვამტვრევ და, ეგებ, მიშველოთო. სამართალდამცავები და ექიმები ადგილზე ერთდროულად მივიდნენ და იმის გათვალისწინებით, რომ კარის საკეტის გატეხვა დიდ დროს წაიღებდა, ბინაში სახურავიდან, თოკით ჩავიდნენ და კარი შიგნიდან გახსნეს. ბინაში შესულებს უცნაური სურათი დახვდათ – სამზარეულოს შესასვლელთან, მეტლახზე რკინის თასი იდგა, აი, ისეთი, მურაბებს რომ ხარშავენ ხოლმე, თასში რაღაც ნაჭრები ეყარა, რომელიც ბოლავდა და ბინაში კვამლი იდგა. მაშინვე ფანჯრები გამოაღეს და იქვე, დივანზე მისვენებული მოხუცი ქალი დაინახეს. უბნის რწმუნებულმა დახედა და ჩუმად თქვა, მგონი, მკვდარიაო, რის შემდეგაც ექიმებს დამატებითი საქმე გაუჩნდათ – ქალი, რომელმაც პოლიციაში დარეკა, უგონოდ დაეცა, გული წაუვიდა. ექიმები დატრიალდნენ, ორივე საავადმყოფოში გააქანეს და დღის ბოლოს უკვე იცოდნენ, რომ ორივე გადარჩებოდა. კვამლით გაგუდული ქალი აზრზე მალე მოვიდა, მის დაქალს კი გულის შეტევა ჰქონდა.

„მესმის, ჩვენმა მეზობელმა რომ ასე განიცადა. ისინი ხომ ბაღიდან ერთად მოდიან, სკოლა, სასწავლებელი... სამსახურიც კი ერთად ჰქონდათ, პენსიაზეც ერთ წელს გავიდნენ. ბედმა ისე ინება, რომ მას შვილი არ ეყოლა, მეც, დედაჩემისთვის ერთადერთი ვარ და ორივე დედასავით მივლიდა“, – განაცხადა კვამლით გაგუდულის ქალიშვილმა, როცა სამართალდამცავებმა მის დასაკითხად მოიცალეს.

სამაგიეროდ, გოგონას წარმოდგენა არ ჰქონდა, ვის შეიძლებოდა, დედამისის სიკვდილი მოსურვებოდა. სისულელეა იმაზე ფიქრო, რომ ვინმეს ბინის გამო მოეკლა, ერთადერთი შვილი ვარ, შესაბამისად, ერთადერთი მემკვიდრე. მეუღლესთან ერთად, გარეუბანში კი ვცხოვრობ, მაგრამ ოროთახიანი ბინა გვაქვს, შვილი ჯერჯერობით არ გვეყოლა, მაგრამ თავს ბედნიერად ვგრძნობთო.

ექსპერტიზის დასკვნით, ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, რომ თასში ჩაწყობილ ბამბის ნაჭერს ბოლი უნდა გაეშვა და ცეცხლი არ წაჰკიდებოდა. დაბლა მშრალი ნაჭრები ეყარა, ზემოდან სველი ეწყო და ბამბაც ბოლავდა და ბოლავდა. კარი კი, გასაღებით იყო გაღებული და ახლა საინტერესო ის გახლდათ, ვის ჰქონდა გასაღები.

„გასაღები მე, ჩემს მეუღლეს, მეზობელს და ჩვენს შორეულ ნათესავს აქვს. სხვათა შორის, ის გოგონა დედას უვლიდა, ამისთვის ხელფასს ვუხდიდით, მაგრამ არ ვიცი, სად გაქრა“, – გაიხსენა ნათესავი დაზარალებულის შვილმა.

როგორც გაირკვა, ნათესავი გოგო მართლაც მათთან ცხოვრობდა და სანამ აღნიშნული შემთხვევა მოხდებოდა, დიასახლისს დაუბარა, მაღაზიაში წავალო და... გაქრა. რაც მთავარია, მისი კუთვნილი გასაღები მაგიდაზე იდო ანუ მას გასაღები თან არ წაუღია, შესაბამისად, ვერც გარედან ჩაკეტავდა კარს, მაგრამ საინტერესო იყო, სად წავიდა, რისთვის წავიდა და რატომ არ გამოჩნდა მას შემდეგ, რაც მოხდა? მასზე ძებნა გამოცხადდა და... მესამე დღეს მიაგნეს. როგორც გაირკვა, გოგო, რომელიც სოფლიდან იყო ჩამოსული, თანასოფლელმა ცოლად მოყვანის მიზნით მოიტაცა და რადგან წინააღმდეგი არც გოგო იყო, სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა. დასაკითხი სიძე და მეზობელი დარჩა, თუმცა მეზობელმა ძალიან მარტივად თქვა, მე გასაღები ორი კვირის წინ დავკარგე და ეს ყველამ იცისო. აი, სიძეს რაც შეეხება, ოფიციალურად, ის მივლინებით სხვა ქალაქში იმყოფებოდა, მაგრამ...

„არანაირი მივლინება არ მქონია. ჩემი მეუღლე ჩემზე 10 წლით უფროსია, მე 37 წლის ვარ, ის – 47-ის, რაც იმას ნიშნავს, რომ შვილის ყოლის შანსი პრაქტიკულად განულებულია. ორი წლის წინ, ახალგაზრდა გოგონა გავიცანი, შემიყვარდა და ჩვენი შვილი ერთი თვის არის. სწორედ მასთან ვიყავი მაშინ, როცა თითქოს მივლინებაში გახლდით, სახლიდან არ გამოვსულვარ, მთელი დღეები ჩემს პრინცესებთან გავატარე. არ მაინტერესებს, ვინ დააპირა სიდედრის მოკვლა, მასთან ურთიერთობა არ მაქვს და ცოლსაც მალე გავშორდები. ეს მანაც იცის და ვერ გეტყვით, ეგებ, ყველაფერი ეს თავად მოაწყო, ჩემზე რამე ეჭვი რომ გაჩენილიყო“, – განაცხადა დაზარალებულის სიძემ.

სამართალდამცავებმა გადაამოწმეს და გაარკვიეს, რომ მას მართლაც ჰყავდა ცოლ-შვილი, რომ მართლაც აპირებდა ცოლთან დაშორებას. ამის შესახებ მისმა მეუღლემ იცოდა და თითქოს, ბედსაც შეგუებული იყო, მაგრამ იმას ვერ ინელებდა, რომ გავიცანი, გამოხეული შარვლით დადიოდა, კაცად მე ვაქციე და ახლა გაახსენდა,რომ მასზე უფროსი ვარო. ოჯახური საქმეების გარკვევა და გარჩევა სამართალდამცავების საქმე არ იყო, მათ ის პირი უნდა მოეძებნათ, ვინც მოხუცი ქალი სასიკვდილოდ გაიმეტა, მაგრამ... მოტივი თითქოს არავის ჰქონდა და მოტივის გარეშე, ასეთი ქმედება გამორიცხული გახლდათ. თანაც, ყველაფერი კარგად იყო დაგეგმილი და რომ არა მეზობელი, რომელმაც ბინიდან გამოსული კვამლი დაინახა და განგაში ატეხა, დამნაშავე საწადელს აუცილებლად მიაღწევდა.

ამასობაში, დაზარალებულმა ძალოვნებს უთხრა, რომ კარგად ხვდებოდა, სიძეს მის ქალიშვილზე გული რომ ჰქონდა აცრუებული, თუმცა დაახლოებით, ერთი თვის წინ, შეადგინა ანდერძი, რომლის მიხედვითაც, ბინას სწორედ სიძეს უტოვებდა და ამის შესახებ სიძისთვის თქმას საზეიმო ვითარებაში აპირებდა. ეს კი, აშკარად ხელჩასაჭიდი რამ იყო. თუ სიძემ საიდანღაც იცოდა ანდერძის შესახებ, მოხუცის სიკვდილი მას ძალიანაც აწყობდა, თანაც იმის მოწმე, რომ მთელი სამი დღე მეორე ცოლ-შვილთან გაატარა, მხოლოდ მისი ბავშვის დედა იყო, რომელიც შესაძლოა მომავალ ქმარს ხელს აფარებდა. სიძე დაკითხვაზე მეორედ დაიბარეს.

„რას ამბობთ? ბინას მე მიტოვებდა? არა, მაგათი არაფერი მინდა, არც ბინა. არ ვიცოდი ამის შესახებ და რომც მცოდნოდა, უარს ვეტყოდი. მაგ ოჯახთან ყველანაირი ურთიერთობის გაწყვეტა მინდა და ეს იციან. მე ჩემს ცოლ-შვილთან ვიყავი და სურვილი არ მქონდა სიდედრი მენახა და მასთან სტუმრადაც კი, ბოლოს, ალბათ, რვა თვის წინ მივედი“, – ამბობდა სიძე.

მისი მხრიდან, შესაძლოა, ეს თავის დაძვრენის კარგი ხერხი ყოფილიყო, მკვლელობა არ გამოუვიდა და ახლა თითქოს არ აინტერესებდა ბინა, მაგრამ ისიც ხომ ფაქტი იყო, რომ მან ანდერძის შესახებ არაფერი იცოდა? გამოძიება ისევ თავს იმტვრევდა, როცა ყველაფერი ძალიან, ძალიან მარტივად გაირკვა. განყოფილებაში საავადმყოფოდან გამოწერილი მეზობელი მივიდა, ჯერ კარგა ხანს იტირა, მერე კი სკამზე კარგად მოკალათდა და დაიწყო:

„ჩემს მეზობელს დისგან არ ვარჩევდი. მართლა, მთელი ცხოვრება ერთად ვართ, ერთად გადავიტანეთ მშობლების სიკვდილი, მერე – მეუღლეების გარდაცვალება და ახლა, ერთი თვის წინ მითხრა, რომ ჩემს ქმართან ურთიერთობა ორჯერ ჰქონდა. მეტიც, მისი ერთადერთი შვილიც ჩემი ქმრისგან ეყოლა. ასე მითხრა, არ მინდა, ეს საიდუმლო საფლავში წავიღო, უკვე ისეთ ასაკში ვართ, გაბრაზებასაც აზრი არ აქვსო და მითხრა. კინაღამ გული გამისკდა, ეს ჩემთვის უდიდესი შეურაცხყოფა იყო, მაგრამ რა უნდა მექნა? ბრაზი გულში ჩავიბრუნე, მაგრამ ღამეები არ მეძინა. იმ დღეს შევედი, რაღაც მინდოდა მეთქვა, კარი ღია იყო... გასაღები არ დამიკარგავს, კი ვუთხარი, დავკარგე-მეთქი, მაგრამ მერე ვიპოვე, სახლში მქონია. ეძინა და მაშინ გადავწყვიტე, მომეკლა. თასი მე გავამზადე, ცეცხლიც მე წავუკიდე და მშვიდად გავედი სახლში, მაგრამ მალევე მივხვდი, რომ ვერ მოვკლავდი, ამიტომ პოლიციაში დავრეკე. რატომ არ გავაღე კარი? მეგონა, უკვე მკვდარი იქნებოდა და ვერ გავრისკე. ახლა კი... ახლა არაფერს არ აქვს აზრი, ამ ტვირთით ვერ ვიცხოვრებ, მზად ვარ, სასჯელი მივიღო“, – განაცხადა მოხუცმა.

სამართალდამცავებმა ერთმანეთს გადახედეს და არ იცოდნენ, რა ექნათ. ყველაფერი მარტივად დალაგდა. დაზარალებულმა ბავშვობის მეგობარს ყველაფერი აპატია, ისინი შერიგდნენ და დაქალობა გააგრძელეს, მათი შვილისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა, ისედაც ორივეს დედასავით უყურებდა. აი, ქმარი კი... ქმარი მალე დაშორდა და საცხოვრებლად მეორე ცოლ-შვილთან გადავიდა.

დიდი ბრიტანეთის სამეფო საზღვაო ფლოტის საზღვაო ქვეითთა სარდლობის ინსტრუქტორებმა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებს სპეციალური სწავლება ჩაუტარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის კანონაღსრულებისა და საზღვაო უსაფრთხოების ტაქტიკური განყოფილებების 14 და სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს 16 მოსამსახურეს, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის ფოთის ბაზაზე სპეციალური სწავლება ჩაუტარდათ.

სწავლება დიდი ბრიტანეთის სამეფო საზღვაო ფლოტის საზღვაო ქვეითთა სარდლობის სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის (42 CDO) ინსტრუქტორების ორგანიზებით განხორციელდა.

სწავლება მოიცავდა: დანაყოფის საბრძოლო მედიკოსის ტრენინგს, აბორდაჟის პროცედურების ჩატარებას განსხვავებული ხილვადობის პირობებში, ახლო დისტანციაზე ბრძოლის ტაქტიკურ მანევრებს და საცეცხლე მომზადებას. კურსის მონაწილეებს თეორიული საკითხების პრაქტიკაში განხორციელების საშუალებაც ჰქონდათ.

სწავლების დასასრულს, ტრენინგში მონაწილე პირადი შემადგენლობის შესაბამისი სერტიფიკატებით დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში მარტკ კლეიტონმა, ბრიტანეთის თავდაცვის ატაშემ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სტივ ქუანთრილმა, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა რამაზ პაპიძემ და სწრაფი რეაგირების მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა პირებმა.

აღნიშნული სწავლება რიგით მეორედ ტარდება საქართველოში, რომელიც ითვალისწინებს გამოცდილების გაზიარებასა და სწავლებაში ჩართული ქვედანაყოფების მოსამსახურეთა ტაქტიკური შესაძლებლობების გაზრდა-განვითარებას.

პოლიციამ ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და მუქარის ბრალდებით ერთი პირი დააკავა

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული ა.ა. ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და მუქარის ბრალდებით, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

დანაშაული 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ სოფელ ფონიჭალაში, 1983 წელს დაბადებულ ვ.კ.-ს სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა ა.ა. მიმდინარე წლის 21 აპრილს, ბრალდებულსა და ვ.კ.-ს შორის დაწყებული ურთიერთშელაპარაკება გადაიზარდა ფიზიკურ დაპირისპირებაში, რა დროსაც ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო ვ.კ.-მ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე და 151-ე მუხლით მიმდინარეობს.

სასაზღვრო პოლიციის უფროსი ნიკოლოზ შარაძე სამუშაო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ შარაძე, დელეგაციასთან ერთად, სამუშაო ვიზიტით სომხეთის რესპუბლიკაში იმყოფებოდა.

ნიკოლოზ შარაძე, დელეგაციის წევრებთან ერთად, სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურის სასაზღვრო ჯარების ხელმძღვანელობას შეხვდა. სასაზღვრო ჯარებში გამართული ორმხრივი შეხვედრის დროს მხარეებმა განიხილეს საზღვრის დაცვის და სასაზღვრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები.

ვიზიტის ფარგლებში ქართულ დელეგაციას დაათვალიერებინეს და გააცნეს სასაზღვრო ჯარების სხვადასხვა დანაყოფის საქმიანობა.

სომხეთის რესპუბლიკაში ვიზიტისას სასაზღვრო პოლიციის უფროსს, გენერალ-მაიორ ნიკოლოზ შარაძეს უწყებებს შორის თანამშრომლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მედალი თანამშრომლობისთვის გადაეცა.

პოლიციამ გურიაში მომხდარი ქურდობის ფაქტები გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონული სამმართველოების თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქურდობის ბრალდებით, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ორი პირი – 1988 წელს დაბადებული მ.მ. და 2000 წელს დაბადებული ზ.მ. დააკავეს. დანაშაული 4– დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა სხვადასხვა დროს, უკანონოდ შეაღწიეს მოქალაქეების კუთვნილ ათამდე საცხოვრებელ სახლში, საიდანაც მართლასაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნივთებს. საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, პოლიციამ მ.მ. და ზ.მ, ბრალდებულის სახით დააკავა.

სამართალდამცველების მიერ ნივთმტკიცებად ამოღებულია მოპარული ნივთები. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფის მიერ, წინასწარი შეთანხმებით არაერთგზის, ბინაში უკანონოდ შეღწევით ჩადენილ ქურდობას გულისხმობს.

პოლიციამ ქვემო ქართლში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული დ.ა. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო თელეთში, ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელს, 1988 წელს დაბადებულ დ.კ.-ს, ცივი იარაღის გამოყენებით სხეულზე ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი სამედიცინო დაწესებულებაში გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა დ.ა. ცხელ კვალზე, ბრალდებულის სახით დააკავეს.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ ბათუმში ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებით ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნის მოქალაქეები: 1975 წელს დაბადებული ს.ჩ. და 1976 წელს დაბადებული ჰ.ე. დააკავეს.

მათ ბრალად ედებათ, დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით, ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვა. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, რომლებიც ბათუმში მდებარე ერთ-ერთ კაფე-ბარში მუშაობდნენ, ძალადობის გამოყენებითა და სიცოცხლის მოსპობის მუქარით, ამავე კაფე-ბარის სტუმრებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, მათი შეკვეთისთვის შეუსაბამოდ დიდი თანხა -267 000 თურქული ლირა და 5 700 ლარი გამოსძალეს. სამართალდამცველებმა ს.ჩ. და ჰ.ე. ბრალდებულის სახით დააკავეს. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჩადენილი გამოძალვის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ფინალების სინდრომი ანუ ბოლოს რაღაც გვაკლია

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში, ძიუდოისტთა შორის, ევროპის ჩემპიონატი დასრულდა. ერთი შეხედვით, ეს ტურნირი, საქართველოს ნაკრებისთვის წარმატებულად უნდა ჩავთვალოთ, რადგან საერთო ჯამში, ჩვენმა გუნდმა შვიდი მედალი მოიპოვა და არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა, მაგრამ...

ჯერ ოქროს მედალოსნებზე ვთქვათ. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ევროპის ჩემპიონატი კვლავ მოიგო ვაჟა მარგველაშვილმა და ვაღიაროთ, რომ მას აღნიშნული გამარჯვება, ზედ ოლიმპიადის წინ, ძალიან, ძალიან წაადგება. მოლოდინი გაამართლა ტატო გრიგალაშვილმა, რომელმაც ოქროს მედალი ერთი ამოსუნთქვით მოიგო და თუ ოლიმპიადაზე ვინმესგან გარანტირებულ ოქროს მედალს ველით, ეს სწორედ გრიგალაშვილია. ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა და გაიმარჯვა ეთერ ლიპარტელიანმა. ყველაზე ტიტულოვანი ქართველი ძიუდოისტისთვის სტაბილურობა ძალიან კარგია და ოლიმპიადაზე მისგან სამეულში შესვლას ველოდებით, ტურნირის ბოლო დღეს კი...

ველოდებოდით, რომ -90, -100 და +100 კილოში, ჩვენი ბიჭები ოქროსთვის იბრძოლებდნენ და თითქმის ასეც მოხდა: -100-სა და +100-ში, ილია სულამანიძე და გურამ თუშიშვილი ფინალში გავიდნენ, მოქმედმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლაშა ბექაურმა კი მოულოდ-

ნელი მარცხი განიცადა და ბრინჯაოს მედლისთვის იბრძოლა. პრინციპში, რაღა იბრძოლა, დამაჯერებლად მოიგო კიდეც, აი, ფინალები კი...

სულამანიძემ მატვეი კანიკოვსკისთან წააგო, თუშიშვილმა – ინალ ტასოევთან და მაშინვე გასული ოლიმპიადა გაგვახსენდა, როცა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების წევრებიდან, ფინალამდე ოთხი მივიდა,ოქრო კი მხოლოდ ერთმა მოიპოვა. ჰოდა, ამიტომ ვეჭვობთ, გადამწყვეტ შეხვედრებში რაღაც გვჭირს და ეს ახალი სენი არაა. გავიხსენოთ ვარლამ ლიპარტელიანი, ნაკრების კაპიტანი, რომელიც დიდი სპორტიდან ერთი თვის წინ წავიდა – ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი წააგო, ერთხელ – ოლიმპიადის და მართალია, ევროპის ჩემპიონის სამი ოქროს მედალი აქვს, მაგრამ სამი ოქროს პარლალეურად, ოთხი ფინალი აქვს წაგებული.

ჰოდა, ნაკრების თავკაცებს სწორედ ამ მიმართულებით მართებთ მუშაობა. გვჯერა, ოლიმპიადამდე, ლაშა გუჯეჯიანი ამ პრობლემას მოაგვარებს და ბიჭებს მეტ თავდაჯერებულობას შემატებს.

ტურნირის ბოლო დღეს, გუნდური შეჯიბრი გაიმართა და საქართველოს ნაკრები ფინალში გავიდა, თუმცა... საფრანგეთთან უშანსოდ – 0:4 წააგო და ვერცხლის მედალს დასჯერდა. სამაგიეროდ, ზაგრებში, 2023 წლის საუკეთესოთა დაჯილდოვების ცერემონიალი გაიმართა და გასული წლის საუკეთესო ძიუდოისტად ტატო გრიგალაშვილი დასახელდა, წლის საუკეთესო ახალგაზრდა ძიუდოისტად – შალვა გურეშიძე, წლის ნაკრებად – საქართველოს ვაჟთა და ქალთა შერეული ნაკრები, რაც ქართული ძიუდოსთვის ძალიან, ძალიან დიდი აღიარებაა.

კვარაცხელია „ნაპოლის“ მარტო მიათრევს, ბუდუ საუკეთესო იყო, მიქაუტაძეს ვერ აჩერებენ

იტალიის ჩემპიონატის 34-ე ტურში, ხვიჩა კვარაცხელიას „ნაპოლიმ“ დედაქალაქურ „რომას“ უმასპინძლა. თუ მასპინძლები ამ შეხვედრას ვერ მოიგებდნენ, ჩემპიონთა ლიგის საგზურს ოფიციალურად დაემშვიდობებოდნენ და ამიტომაც იყო, ფეხბურთელები თავგანწირვით რომ იბრძდნენ. თავის მხრივ, „რომას“ მარცხი არ აწყობდა, რადგან საჩემპიონთალიგო ზონაში თავადაც არის და იქიდან გამოსვლა ცოცხალი თავით არ უნდა.

შეხვედრა ფრედ – 2:2 დასრულდა და შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ „ნაპოლი“ მხოლოდ კვარაცხელიას იმედადაა. არანაირი ფანტაზია და უნარი იმისა, რომ მრავალფეროვნად შეუტიოს, კალცონას გუნდს უბრალოდ არ გააჩნია. ხვიჩამ მოიპოვა პენალტიც, რომელიც ოსიმენმა გოლად აქცია და... მწვრთნელმა კვარა შეცვალა, დაცვა გააძლიერა და ხვიჩას გასვლიდან 3 წუთში, დაისაჯა კიდეც. კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ სეზონის ბოლოს, ქართველმა ეს გუნდი უნდა დატოვოს.

ზედიზედ მეოთხე შეხვედრაში გაიტანა გიორგი მიქაუტაძემ, მაგრამ მისმა გოლმა „მეცს“ ვერ უშველა და საკუთარ მოედანზე, „ლილთან“, 1:2 დამარცხდა. ამ გოლის შემდეგ, გიორგი ბომბარდირთა დავაში მეშვიდე ადგილამდე დაწინაურდა, მის გუნდს კი, დარჩენილ სამ შეხვედრაში, ორი მატჩის მოგება მაინც მართებს, უძლიერესთა ღირსი ადგილი რომ შეინარჩუნოს.

ბუდუ ზივზივაძე, მცირე ავადმყოფობის შემდეგ, „კარლსრუეს“ დაუბრუნდა და „ნიურნბერგთან“ შეხვედრაში, 68-ე წუთამდე ითამაშა. ბუდუს გუნდმა მოიგო, ქართველი შემტევი კი ყველა საგენტომ თუ გამოცემამ, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. მართალია, „კარლსრუე“ ბუნდესლიგაში დასაბრუნებელ ზონასთან მხოლოდ მინუს შვიდ ქულაშია, მაგრამ წელს ამის გაკეთება გაუჭირდება, რადგან ჩემპიონატის დასრულებამდე 3 ტურია დარჩენილი და სასწაული უნდა მოხდეს, ზივზივაძემ და მისმა თანაგუნდელებმა, უძლიერესთა შორის აღსაზევებელი საგზური რომ მოიპოვონ.

ხავი დარჩა და კვარაცხელიას ითხოვს

კატალონიური „ბარსელონა“ წელს ტიტულის გარეშე დარჩა. გუნდი ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდა, ესპანეთის ჩემპიონატში კი, საუკეთესო შემთხვევაში, მეორე ადგილზე თუ გავა, რადგან პირველადგილოსან მადრიდის „რეალთან“ სხვაობა ძალიან დიდია. ორიოდე თვის წინ, „ბარსას“ ლეგენდამ და ამჟამად მთავარმა მწვრთნელმა, ხავი ერნანდესმა განაცხადა, სეზონის დასრულების შემდეგ, გუნდიდან მივდივარო, მაგრამ ისე ჩანს, მას გადადგომა კლუბის პრეზიდენტმა, ხუან ლაპორტამ გადააფიქრებინა და დაპირდა, რომ მომავალი სეზონისთვის, გუნდი საკმარისად გაძლიერდება.

ჰოდა, ესპანური მედია წერს, ხავის მთავარი სამიზნე ხვიჩა კვარაცხელიაა და მის დასამატებლად, ლაპორტა ყველაფერს გააკეთებსო. ოფიციალურად, კვარას ამჟამინდელი ფასი 80 მილიონი ევროა, რაც ერთი შეხედვით, ძვირი არ არის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ უკვე მერამდენე წელია, კატალონიელებს სერიოზული ფუნანსური კრიზისი უდგათ და ქართველის ყიდვის შემთხვევაში, ვინმეს გაყიდვა მოუწევთ.

ისე, ინგლისური პრემიერლიგის გასულ ტურში, გუნდის ლიდერ მოჰამედ სალაჰსა და მთავარ მწვრთნელს, იურგენ კლოპს შორის შელაპარაკება მოხდა, რაც სეზონის ბოლოს, კლოპი „ლივერპულიდან“ მიდის და დიდი შანსია, გუნდი სალაჰმაც დატოვოს. შესაბამისად, როცა სალაჰის რიოზული განხილვის საგანი გახდა. ეგვიპტელის ადგილზე, იდეალური კანდიდატურა... ხვიჩა კვარაცხელია იქნებოდა.

საქართველოს ნაკრები 156.9 მილიონი ღირს

ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე ორ თვეზე ნაკლები დარჩა და რაღა თქმა უნდა, შევეცდებით, საქართველოს ნაკრებზე მოგაწოდოთ ყველა ინფორმაცია, რომელიც კი ევროპულ სააგენტოებსა თუ პრესაში დაიწერება. მოგეხსენებათ, საქართველო ევროპის ჩემპიონატის ერთადერთი დებიუტანტია და მას გამადიდებელი შუშით აკვირდებიან. გასულ კვირას, ნაკრებების საერთო ღირებულება გამოქვეყნდა ანუ რომელი ნაკრები რა ღირს და ფეხბურთელების ფასები ცალ-ცალკე იყო ჩაშლილი. ალბათ, გაინტერესებთ, რა თანხად აფასებენ ევროპელები ქართველ ფეხბურთელებს და, შესაბამისად, ნაკრებს:

ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია) – 80 მილიონი ევრო;

გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი) – 35 მილიონი;

გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი) – 9 მილიონი;

ირაკლი აზაროვი (შახტარი, უკრაინა) – 3.5 მილიონი;

ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია) – 3 მილიონი;

საბა საზონოვი (ტორინო, იტალია) – 3 მილიონი;

გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი) – 2.5 მილიონი;

ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი) – 2.5 მილიონი;

გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა) – 2.5 მილიონი;

გაბრიელ სიგუა (ბაზელი, შვეიცარია) – 2.5 მილიონი;

საბა ლობჟანიძე (ატალანტა, აშშ) – 2.0 მილიონი;

გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი) – 1.7 მილიონი;

ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია) – 1.2 მილიონი;

გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი) – 1.0 მილიონი;

ანზორ მექვაბიშვილი (უნივერსიტატეა, რუმინეთი) – 1.0 მილიონი;

გიორგი წიტაიშვილი (დინამო ბათუმი) – 0.8 მილიონი;

ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი) – 0.75 მილიონი;

ლევან შენგელია (პანეტოლიკოსი, საბერძნეთი) – 0.75 მილიონი;

საბა კვირკველია (ალ ახდუდი, საუდის არაბეთი) – 0.7 მილიონი;

ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია) – 0.7 მილიონი;

ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) – 0.6 მილიონი;

ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბახი, აზერბაიჯანი) – 0.6 მილიონი;

ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი) – 0.5 მილიონი;

ჯაბა კანკავა (სლოვანი, სლოვაკეთი) – 0.3 მილიონი;

გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი) – 0.3 მილიონი;

გიორგი ლორია (დინამო თბილისი) – 0.1 მილიონი.

ნაკრების ჯამური ღირებულება 156.9 მილიონი ევრო გახლავთ და ალბათ, საინტერესოა, რა ღირს ჩვენი ჯგუფის სხვა ნაკრებები. პორტუგალია 1.06 მილიარდ ევროდ შეფასდა, თურქეთი – 303.4 მილიონად, საქართველოზე უკვე გითხარით – 156.9 მილიონი ევრო, ჩეხეთი – 146.6 მილიონი ევრო.

რაც შეეხება ჩვენი ჯგუფის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელების ხუთეულს, ის ასე გამოიყურება:

კრიშტიანუ რონალდუ (პორტუგალია) – 120 მილიონი ევრო;

ხვიჩა კვარაცხელია (საქართველო) – 80 მილიონი ევრო;

ჰაკან ჩალჰანოღლუ (თურქეთი) – 40 მილიონი ევრო;

გიორგი მამარდაშვილი (საქართველო) – 35 მილიონი ევრო;

ტომაშ სოუჩეკი (ჩეხეთი) – 35 მილიონი ევრო.

ირლანდია სანიოლს არ ეშვება

მოგეხენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს სამუშაოდ ირლანდიაში ეპატიჟებოდნენ. ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები დარწმუნებულები იყვნენ, რომ საქართველო პლეი-ოფს ვერ დაძლევდა, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდებოდა და ფრანგ სპეციალისტს გაათავისუფლებდნენ, რის შემდეგაც ის, სწორედ ირლანდიის ნაკრებს ჩაიბარებდა. თუმცა, ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ირლანდიელებს ეგონათ – საქართველო ევროპაზე მოხვდა და სანიოლის გაშვებაზე საუბარიც კი არ დაწყებულა. ამის მიუხედავად, ირლანდია ახალი მთავარი მწვრთნელის დანიშვნას არ ჩქარობს და როგორც ამბობენ, ისინი ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის დასრულებას დაელოდებიან.

„საქართველო ევროპაზე ჩემპიონი ვერ გახდება, სანიოლის კი, ფედერაციასთან კონტრაქტი 2024 წლის ბოლომდე აქვს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ევრო-2024-ის შემდეგ, ის უმუშევარი იქნება და მოლაპარაკება არ გაგვიჭირდება“, – აცხადებენ ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციაში.

„მამული, ენა, სარწმუნოება“ – ილია ჭავჭავაძის შეგონებანი

მე-8 გვერდიდან

* * *

ღმერთა ყველას გონება და გული, სიკეთის შეძლება დაგვირიგა, ზოგს, მართალია, ცოტა, ზოგს ბევრი, მაგრამ ბევრს ბევრი მოეკითხება და ცოტას – ცოტა. იმისათვის კი არ დაგვირიგა, რომ იმ ზარმაც მონასავით კიდობანში, ან მიწაში დავმალოთ, – იმისათვის, რომ ბევრი გაჭირვებულია ქვეყანაზედ, უნდა გავცეთ, რომ მოვიგოთ რამე, თორემ ხელცარიელები დავრჩებით, როცა ღმერთი მოგვკითხავს. ამიტომაც არიან ეგრე გულმართალნი ეს სიტყვები: „რასაცა გასცემ – შენია, რაც არა – დაკარგულია“. ის ღვთის მადლი, რომელიც ყოველ კაცს თავდაპირველვე ჩაგვსახებია, ჩვენთვის დაკარგულია, თუ სიკეთე არ მოვაგებინეთ.

* * *

იქნება გეგონოს, ვინც კაი საქმეს ჰშვება, სახელისათვის ჰშვება? არა, სახელი თავისთავად მოდის ხოლმე და კეთილ საქმეს ზედ გამოებმება. მართალია, არიან იმისთანა კაცები, რომელნიც სიკეთეს იქმოდნენ მარტო იმისთვის, რომ სახელი დაგვრჩებაო. მაშინ ისინი იმ კაი საქმეს სახელზედ ჰყიდიან. ეს ცუდია, მაგრამ მე და შენ რა დავა გვაქვს? დაე, თუნც გაჰყიდონ, ოღონდ ნივთი კარგი რამ იყოს, დაე, საქმე საქებური იყოს და გულის წადილის გაჩხრეკა ღვთის ნებაზედ მივაგდოთ.

* * *

როცა... ადამიანს პირს არიდებ, მითამ ქრისტე-ღმერთისთვის მოგირიდებია პირი. იესომ ბრძანა: განკითხვის დღეს გეტყვითო მწყურვალი ვიყავ და არ მასვითო; მშიერი ვიყავ, არ მაჭამეთო; შიშველი ვიყავ, არ ჩამაცვითო; სნეული ვიყავ, არ მომიარეთო. როცა მეტყვიანო უფალო! სადა გნახეთ, რომ არ გიშველეთო მე ვეტყვიო: ყოველი გაჭირვებული კაცი, თქვენგან არ გაკითხული, მე ვიყავიო... სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა, აი ხიდი ცხონებისა, აი გასაღები სამოთხისა!..

* * *

სადაც სურვილია დატკბობისა, იქ სიყვარული არ არი; სიყვარული ტანჯვაა; „ტანჯვაა ვალი და სხვერპლი უზომო სიყვარულისა“ – ამბობს ერთი ჩვენი ქართველი პოეტი. მართალიც არი!.. სიყვარულში თვითონ სიყვარული უნდა ეძებოს კაცმა, სიყვარულში თვით სიყვარული უნდა უყვარდეს სიყვარულისთვის კაცსა და არა რაიმე სურვილისთვის. სადაც გამოერევა ადამიანის „მე“, იქ უთუოდ უნებლიედ წარმოსდგება მონებაცა ერთისა მეორეზედ. უფრო უძლურმა უნდა დაუთმოს უფრო ძლიერს, იქ იქნება დესპოტობა, მონება და არა სრული ერთხმოვანი გარმონია ორთა თანასწორთა სულთა, რომელთა შეერთება შეიქმს ხოლმე ერთ დაკარგულს ერთარსებასა; უნდა დაივიწყო შენი „მე“ და შეერთდე იმის „მესთან“; მაშინ აღსრულდება მნიშვნელობაც სიყვარულისა, მაშინ გადაიშლება მთელი ზღვა ტანჯვისა...

* * *

არაფერი ქვეყანაზე არც იმით დაიწუნება, რომ ძველია, არც იმით მოიწონება, რომ ახალია. ამ სადა ჭეშმარიტებას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა, არც მეტისმეტი გონების გახსნილობა, რომ კაცმა ახალი ტალახი ძველს ვარდს არ ამჯობინოს მარტო იმის გამო, რომ ტალახი ახალია და ვარდი კი ძველი.

* * *

საქმისა თუ აზრის ავკარგიანობის გარჩევა მარტო ძველახლობითა, ღირსების აწონ-დაწონვა მარტო იმით, რომ ეს გუშინდელია და ეს დღევანდელი, ჭეშმარიტების უარყოფა მარტო იმით, რომ ძველია და ტყუილის ჭეშმარიტებად გადაყვანა მარტო იმით, რომ ახალია, რაც გნებავთ ბრძანეთ და, სასაცილოზედ მეტია. აგეთი სასწორი, აგეთი არჩევა კარგისა და ავისა, მართლისა და ტყუილისა მარტო იმის მომავლინებელია, რომ კაცს არც კარგი ესმის, არც ავი, არც მართალი უცვნია, არც ტყუილი და ამაოდა ჰფქვავს მინდმოკიდებულ წისქვილსავით.

* * *

შეწყნარება დაჯერებას არ ჰნიშნავს, გინდა თუ არა, არამედ პატივსა, რომლითაც უნდა მოექცეთ სხვის აზრს, თუნდაც თქვენს უსიამოვნოს, თქვენს წინააღმდეგს. პატივით მოქცევა კიდევ იმას ჰქვიან, რომ მთქმელს, თუ გამკითხველს საბუთი გაუჩხრიკოთ, საბუთი აუწონოთ თქვენს საკუთარ სასწორზე, ასე თუ ისე საკუთარი ფასი დასდოთ და მისაწყავი ისე მიუწყათ. ყოვლად საკადრისი საქციელი გონებაგახსნილისა და მართლა განათლებულის კაცისა სწორედ ეს გზაა და სხვა არარა. ვისაც ეს არა სჭირს, ტყუილად თავსა სდებს განათლებაზე, ტყუილად აბრიყვებს თავისთავსაც და სხვასაც, განათლებული ვარო. იგი ყოველ გონებადახშულზედ უარესია.



* * *

ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზე ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა, თუ ცას იქით, სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ.

გამოსთქვას თვისის სულის მოძრაობა და თვისის გულის ძარღვის ცემა. ხმა და სიტყვა ცალ-ცალკე ბევრს შემთხვევაში უღონონი არიან ადამიანის გულის სიღრმიდამ ამოზიდონ იგი სხვილი და წვრილი მარგალიტები, რომლითაც სავსეა ადამიანის გული და რომელნიც აიშლებიან ყოველთვის, როცა ან სევდა-მწუხარება, ან სიხარული შესძრავს ხოლმე ღვთაებურს სიმებს ადამიანის სულიერებისას. სიმღერა ამ მხრით იგივე ცრემლია, რომელიც მაშინაც მოდის, როცა გულს მწუხარება ჰკუმშავს, და მაშინაც, როცა დიდი სიხარული ეწვევა.

* * *

რადგანაც ქვეყანაზე გულსა ადამიანისას სძრავს ხოლმე არა მარტო სიხარული და მწუხარება, არამედ სხვა ათასგვარი მიზეზიცა, ამიტომაც სამწუხარო და სასიხარულო სიმღერას შუა კიდევ მრავალგვარი სიმღერა და გალობაა. ამ მხრით ადამიანის გული იგივე ზღვაა, რომელიც კოვზით არ დაილევა თავის დღეში. მინამ გული სძგერს, გულივე ათასნაირს სიმთ ააჟღერებს ხოლმე ათასნაირის მიზეზითა, და რადგანაც მიზეზი გულისთქმისა ულეველი და დაუსრულებელია, თვით სიმღერას, რომელიც მარტო გულისთქმაა და სხვა არაფერი, ბოლო და დასასრული არ ექნება თავის დღეში, ვიდრე ეს დედამიწის ზურგი ატარებს და იშვნევს ადამიანსა. კაცთ გარე, ქვეყნიერებაში სიმღერა არ არის. ეგ მხოლოდ კაცის კუთვნილებაა, ვითა ღვთის კერძოისა. ეგ ღვთიური ნიჭი ბუნებამ მარტო ადამიანს მოჰმადლა და იგი ნიჭი იმოდენად ძვირფასად მიაჩნია კაცობრიობას, რომ არ არის ცისქვეშეთში იმისთანა კაცი, იმისთანა ერი, რომ ეგ ნიჭი არ ემოქმედებინოს და ეგ მშვენიერი ნერგი, ადამიანის სულში ბუნებისაგან ჩარგული, არ ეხეირებინოს და ცოტა თუ ბევრი ყვავილები არ გამოესხმევინებინოს.

* * *

როგორც ცაკლე კაცის გული, ისე გული ერისა ბევრში სხვა ცალკე ერის გულს არა ჰგავს... ამის გამო გულისთქმაც, გულის გამომეტყველებაც სულ სხვა არის ხოლმე და ყოველს ერს თავისი კილო, თავისი ჰანგი აქვს ამ სხვადასხვაობისათვის. იგი უტყვი პოეზიაა... იგივე ენაა, მხოლოდ ხორცშეუსხმული, სიტყვით არგანსაზღვრული, სიტყვით არგამორკვეული – იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა – სულ სხვა, როგორც სხვადასხვა ენამეტყველობა.

* * *

მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, – საერო, თუ სამღვდელო, – რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის-ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული (წმიდა ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე)) ღრმად-მიწევნილი მეცნიერი იყო და ამოდენადვე ღრმად-მორწმუნეცა. აქ არის, ჩემის ფიქრით, მისი აღმატებულება, მისი მნიშვნელობა არამც თუ მარტო ჩვენთვის, სხვისთვისაც, რადგანაც ბევრსა ჰგონია, რომ მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთში მოურგებელნი და მოუთავსებელნი არიანო. იგია მაგალითი ამ მორიგებისა და მოთავსებისა.

* * *

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არ ბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი თან წაიღოს, მოარღვიოს, მოღაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისაებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც ბრევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი ულმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავ-მოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზედ. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამი გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედგამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰღაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი?

* * *

ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩავკიდეთო. ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

* * *

არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი, თუნდ უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია.

* * *

ბავშვის ბუნება საიდუმლოთა საიდუმლოა. ბავშვი იგივ ადამიანია და მით უფრო ძნელი საცნობელია, რომ ძნელ წასაკითხ ქარაგმით დაწერილია, თუ ესე ითქმის, და არა სხვილ და სრულ ასოებით, როგორც დამთავრებული კაცი. არ უნდა გვიკვირდეს, რომ რასაც დიდ მდინარეში ვპოულობთ, იმას მის სათავეშიაც ვხედავთ. ბავშვი სათავეა, დასაწყისია დიდი ადამიანისა.

* * *

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას“

* * *

განა ყოველი საგანი თვის კვალობაზედ არ არის მაღალი, მაღალ ღვთაებრიობის სიბრძნის გამომთქმელი? პოლიპი, რომელიც ძლივს აჩენს თავის სულიერობას, ისე ცხადად მოგვითხრობს ღვთის ძლიერებასა, როგორც მზე, ეს ქვეყნის მაცხოვრებელი მნათობი. ინფუზორია, რომელნიც მილიონობით არიან ერთ მუჭა წყალში, ისევე საკვირველნი არიან, როგორც მოძრაობა მედიდურ ცაში მილიონთა პლანეტთა, ერთი მუჭა ლაფის ნაწილთა დაკავშირება ისეთი საკვირველია, როგორც ვარდის მშვენიერების გამოცხადება. არა, ბუნებაში ღმერთს არ შეუქმნია მაღალი და მდაბალი საგანი, ყოველი საგანი მაღალია თვის კვალობაზეც და ერთნაირად მოგვითხრობს იმ დიდ სულზედ, რომელიც აცხოვრებს მთელს ქვეყანასა.

* * *

ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება, ხორცის დღეობა მაშინ არის; როცა სული ჰყვავის, ხორცი დნება.

* * *

იმისთანა ხალხი, რომლის გამოხატულობაც ჟამთა ვითარებით უმაღლესს საგნებიდან მარტო ჭამა-სმაზედ დამდგარა, ანუ რომელსაც მცირე საგნებიდამ გონება მაღლა ვერ აუცილებია, ის ხალხი უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე გაკიცხვისა.

* * *

დამუნათებული, წაყვედრებული კეთილი, ... ბოროტზე უარესია და უმძიმესი ასატანად.

* * *

იგი გრძნობაა მართალი, რომელიც კატასავით დღე მუდამ არა სჩხავის და მზეთუნახავად დაბინავებულა გულში.

ცხვრების დასამშვიდებლად Axe-ს იყენებს

ბრიტანელი მეცხვარე აცხადებს, რომ საოცარი გამოსავალი იპოვა ცხვრების აგრესიის შესაკავებლად – ეს არის ტანის სპრეი Axe. სემ ბრაისის თქმით, რომელიც ინგლისში ცხვრების მოშენებით არის დაკავებული, სოციალური ქსელიდან სხვა ფერმერებისგან შეიტყო, რომ არსებობს ტანის სხვადასხვაგვარი სპრეი, Axe-ის მარკით, რომელიც სწორედ იმ ჰორმონებს ახშობს, რაც ცხოველებს ერთმანეთის მიმართ აგრესიულს ხდის. ბრაისეს თქმით, რაც ცხვრებზე ამ მეტად არომატიზებული სპრეის გამოყენება დაიწყო, მათ შორის არავითარი „ჩხუბი“ აღარ შეუნიშნავს. „ვფიქრობ, ამ საშუალებას მარტო ჩვენთან კი არა, მთელ მსოფლიოში იყენებენ“, – ამბობს ინგლისელი მეცხვარე.

ტურიზმის ევროპული დედაქალაქი დაასახელეს

პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი 2024 წლის ევროპის საუკეთესო ტურისტულ ქალაქად დაასახელეს. ასეთი დასკვნა VisaGuide.World-ის კვლევების შედეგად დაიდო. ეს კვლევები ნათელს ჰფენს ყველაფერს, რასაც მოგზაურები ყველაზე მეტად აფასებენ ევროპაში სტუმრობისას. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ლისაბონს დიდი ხანია, უმაღლესი შეფასება აქვს მოგზაურობის მოყვარულთაგან და არც თუ უსაფუძვლოდ. ქალაქი ფართოდ არის ცნობილი თავისი ლამაზი შენობებით, შესანიშნავი პეიზაჟებით და თბილი კლიმატით, თუმცა მას მხოლოდ ამის გამო არ აფასებენ. VisaGuide.World-ის რეიტინგის მიხედვით, ლისაბონი ცნობილია, თავისი სიაფით. კვლევის ავტორთა შეფასებით, პორტუგალიის დედაქალაქში ერთი კვირის გატარება, საშუალოდ, 385 ევრო ჯდება. აქაურებიც ერთ-ერთ ყველაზე მეგობრულ, კეთილგანწყობილ ადამიანებად ითვლებიან, ესპანელებისა და იტალიელების შემდეგ. ინგლისურის მცოდნეთა შორის კი მეორე ადგილზე არიან და მხოლოდ ჰოლანდიელებს ჩამორჩებიან. 2024 წლის ევროპის საუკეთესო ტურისტული ქალაქების ტოპ-ათეულში შევიდნენ, ასევე, ამსტერდამი (465 ევრო – ერთკვირიანი ბიუჯეტი), პრაღა (365 ევრო), ვარშავა (395 ევრო), მადრიდი (440 ევრო), ზაგრები (425 ევრო), ლონდონი (575 ევრო), რომი (505 ევრო), ბერნი (725 ევრო) და პარიზი (640 ევრო).

ბრილიანტი პიონისგან დაამზადეს

ჩინელმა სწავლულებმა, Luoyang Time Promice Co-ის კომპანიიდან, მსოფლიოს სამკარატიანი, პირველი ბრილიანტები წარუდგინეს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ, წითელი პიონისგან მიღებული ნახშირბადის ელემენტებისგან არის შექმნილი. ეს უნიკალური ქვა ქალაქ ლოიანში იყო გამოფენილი. ბრილიანტი საჩუქრად გადასცეს ქალაქის პიონის ეროვნულ პარკს, საიდანაც სპეციალისტებს ძვირფასი ქვის მისაღებად ყვავილები მიაწოდეს. სწავლულებმა ხელოვნური ბრილიანტი ბიოგენური ნახშირბადის ტექნოლოგიის წყალობით დაამზადეს. შემდეგ ძვირფასი ქვა მაღალ ტემპერატურასა და წნევაზე გამოაწრთეს. პიონისგან მიღებული ბრილიანტის ღირებულება, დაახლოებით, 300 ათასი იუანია (39 ათასი ევრო).

ბრიტანელები უფასო ტრანსპორტზე გადადიან

უფასო საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნოვატორული გეგმა, რომლის ღირებულებაც 95 მილიონი გირვანქა სტერლინგია, ქალაქ გლაზგოში ამოქმედდება. ბრიტანეთის ამ მსხვილ ქალაქში სრულიად უფასოდ გადაადგილება მალე რეალობად იქცევა და მას „მწვანე ამბიციების“ რეალიზებაში უნდა დაეხმაროს. თავდაპირველად, საპილოტე სქემის ფარგლებში, შოტლანდიის დედაქალაქში, 1 000-მა ადამიანმა, ცხრა კვირით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება მიიღო. ქალაქის საბჭომ მხარი დაუჭირა პროექტს და მისი შედეგების მიხედვით გადაწყდება, განავრცონ თუ არა ის ქალაქის ყველა მცხოვრებზე. საპილოტე პროექტის ყველა მონაწილე, რომელთა ასაკი 22-დან 59 წლამდეა, წინასწარ მიიღებენ ამ ცხრა კვირის თანხას სამგზავრო ბარათებზე. შედეგებით გაირკვევა ამ პროექტის ყველა მინუსი და პლუსი, მისი გავრცელების არეალი კი დაფინანსებაზე იქნება დამოკიდებული. შეგახსენებთ, პირველი, ვინც ქვეყანაში საზოგადოებრივი ტრანსპორტი უფასო გახადა, ლუქსემბურგი იყო – შესაბამისი კანონი იქ 2020 წელს ამოქმედდა. 2022 წელს, მალტის მცხოვრებლებმაც მიიღეს შესაზლებლობა, უფასოდ ისარგებლონ ავტობუსებით მარშრუტების უმრავლესობაზე.

საწოლში წოლისთვის დიდ ფულს იხდიან

ექსპერიმენტის ფარგლებში, რომელსაც კიოლნში, ავაციისა და კოსმონავტიკის გერმანული ცენტრი ატარებს, 18 ათასი ევროს გამომუშავებაა შესაძლებელი. სანაცვლოდ გასაკეთებელი არაფერია – ორი თვის განმავლობაში, მხოლოდ საწოლში წოლაა საჭირო. კვლევის პერიოდში, სპეციალისტები აპირებენ, შეისწავლონ ასტრონავტების კოსმოსში ყოფნის პირობები. საამისოდ, ექსპერიმენტში მონაწილეები საწოლიდან არ უნდა ადგნენ. ამასთან, საწოლის ბოლო 6 გრადუსით აწეული იქნება. ასეთი მდებარეობა ხელს უწყობს სხეულის ზედა ნაწილში სითხის დაგროვებას და ფეხებში მის შემცირებას, რაც ქალისშიდა წნევის ზრდას, კუნთებისა და ძვლის მასის შემცირებას იწვევს. შედეგად, ექსპერიმენტის მონაწილეებს გაუჭირდებათ წონასწორობის დაცვა, იმის მსგავსად, რაც კოსმოსური სივრცის პირობებში ხდება. კვლევისთვის შერჩეული მოხალისეები ცენტრში 88 დღეს გაატარებენ, აქედან 60 დღე საწოლს იქნებიან „მიჯაჭვულნი“. დანარჩენი დღეები კი მომზადებასა და აღდგენას დაეთმობა. ექსპერიმენტი შემოდგომისთვის არის დაგეგმილი, განაცხადები მონაწილეობაზე კი უკვე მიიღება. ვაკანსიის მიღების მსურველი 24-დან 55 წლამდე ასაკის და 153-დან 190 სმ-მდე სიმაღლის უნდა იყოს. ასევე, ჯანმრთელი, არამწეველი და გერმანული ენის მცოდნე.

ბრიტანელები მელანომის ვაქცინას ცდიან

როგორც ბრიტანული BBC იუწყება, მსოფლიოში პირველი, პერსონალიზებული MRNA-ვაქცინის მნიშვნელოვანი ტესტირება კანის კიბოს საშიში ფორმის – მელანომის წინააღმდეგ, ამჟამად ნისლიან ალბიონზე მიმდინარეობს. 52 წლის სტივ იანგი ჰერსტიდან, რომელასაც გასულ წელს, სკალპიდან მელანომას გამონაზარდი ამოაჭრეს, ერთ-ერთ პირველი პაციენტია, ვინც აცრა ჩაიტარა. ვაქცინა შექმნილია იმისთვის, რომ იმუნურ სისტემას დარჩენილი კიბოს უჯრედების ამოცნობასა და განადგურებაში დაეხმაროს. სწავლულები იმედვნებენ, რომ აცრის შემდეგ, პაციენტს დაავადება აღარ დაუბრუნდება. მელანომას საწინააღმდეგო ვაქცინა იმავე ტექნოლოგიით არის შექმნილი, რითიც ამჟამინდელი Covid-ვაქცინები. ტესტირების III ფაზა უკვე დასასრულისკენ მიდის.

დელონს ქონების განკარგვის უფლება ჩამოართვეს

წლის დასაწყისში, კინოს ფრანგი ვარსკვლავი, ალენ დელონი ქმედითუუნაროდ გამოცხადდა. ამჟამად სასამართლომ მას სოციალური კურატორი დაუნიშნა, რომელიც დელონის საქმეებს ხუთი წლის განმავლობაში მართავს. ასე რომ, ამ ხუთი წლის განმავლობაში, 88 წლის მსახიობს არ აქვს უფლება, განკარგოს საკუთარი ქონება. სასამართლოს ამგვარ ვერდიქტს მისი ქალიშვილი ანუშკა აპროტესტებს. ხანდაზმული მსახიობი ხშირად ავადმყოფობს და პრაქტიკულად არ ჩნდება საჯაროდ. 2022 წელს, მან ევთანაზიის სურვილიც კი გამოთქვა. დროის დიდ ნაწილს ალენი საკუთარ მამულში ატარებს.

ფულს თაგვების „ნახატებით“ შოულობს

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა, 21 წლის სტეფ ტუგუდმა შემოსავლის მიღების უჩვეულო მეთოდი მოიფიქრა. გოგონამ შინაურ ცხოველებს – თაგვებს ფურცელზე ხატვა ასწავლა. მღრღნელების თათებს ის საღებავში ჰყოფს და ცხოველებს ფურცელზე გასასეირნებლად უშვებს. მიღებული შედეგები საკმაოდ პოპულარული გახდა სოციალურ ქსელში და უამრავმა ადამიანმა, არა მარტო ბრიტანელებმა, გამოთქვა ამ უჩვეულო ნახატების შეძენის სურვილი. ამჟამად, სტეფსა და მის საყვარელ ცხოველებს საკუტარი მაღაზიაც აქვთ, სადაც არა მარტო ნახატების, არამედ სუვენირების შეძენაც შეიძლება.

წნევის სამკურნალო პომიდორს ყიდიან

ამომავალი მზის ქვეყანაში, გაყიდვაში გამოვიდა პომიდორი შესწორებული გენომით – მათში ხუთჯერ მეტი გამა-ამინომჟავებია. ის არტერიულ წნევას აქვეითებს და გულის რიტმს ანელებს. ამგვარად, ახალი პომიდორი ადამიანებს წნევის დარეგულირებაში უნდა დაეხმაროს. ახალ ჯიშს Sicilian Rouge High GABA უწოდეს. ის კუმამოტოს პრეფექტურაში მოჰყავთ. აღსანიშნავია, რომ პომიდორი შესწორებული გენომით – ეს პირველი პროდუქტია იაპონიის ბაზარზე. გენმოდიციფირებული ბოსტნეულისგან ის იმით განსხვავდება, რომ მათ დნმ-ში არ არის ხელოვნური გენი. პომიდორი ჩCRISPR/Cas-ის ტექნოლოგიის დახმარებით გამოიყვანეს.

ნარჩენებისგან კვერცხის შემცვლელს ამზადებენ

სწავლულთა ჯგუფმა სინგაპურის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან უჩვეულო გამოყენება მოუძებნა ლუდის წარმოების ნარჩენებს. მკვლევარებმა მის საფუძველზე მცენარეული ემულგატორი შექმნეს, რომელიც მაიონეზსა და ნაყინში კვერცხის გულს ჩაანაცვლებს. ემულგატორები პროდუქტს ერთგვაროვანი მასის შენრჩუნებაში ეხმარებიან და არ აძლევენ მას საშუალებას, რამდენიმე სითხედ გაიშალოს. მაგალითად, ზეთი და წყალი გამოიყოს მაიონეზში, ან სხვა სოუსებში. ჩვეულებისამებრ, სტაბილიზატორად კვერცხის გულს იყენებენ, თუმცა სწავლულებმა მას უსაფრთხო, მცენარეული შემცვლელი მოუძებნეს. ამისთვის მათ ლუდის ხარშვისთვის გამოყენებული მარცვლეული აიღეს – ყოველწლიურად, მსოფლიოში 39 მილიონი ტონა ასეთი ნარჩენი იყრება ნაგავში და ატმოსფეროს აბინძურებს. სპეციალისტებმა კი მისგან, ახალი ტექნოლოგიის წყალობით, მცენარეული ემულგატორი მიიღეს, რომელიც გემობრივი თვისებებით არ ჩამოუვარდებს ჩვულებრივს. მის გამოყენებას ნაღების ნაყინისა და სოიოს რძის წარმოებაში აპირებენ.

მუსოლინის ბუნკერი მნახველებისთვის გახსნეს

ცოტა ხნის წინ, რომში, დიდხნიანი შესვენების შემდეგ, კვლავ გაიხსნა მეორე მსოფლიო ომისდროინდელი მიწისქვეშა ბუნკერი. 1940 წელს, როცა იტალია ომში ჩაება, ბენიტო მუსოლინიმ სასწრაფოდ დაიწყო თავისთვის ბუნკერის მშენებლობა. ამისთვის შეირჩა ვილა ტორლონია რომში, სადაც მუსოლინი 1929 წლამდე ცხოვრობდა. დუჩესა და მისი ოჯახის დასაცავად სამი მიწისქვეშა ნაგებობა აშენდა. ისინი 120-სანტიმერიანი რკინა-ბეტონით დაიფარა, შენობას ჰერმეტული კარი და ჰაერის გამწმენდი სისტემაც ჰქონდა. მნახველებისთვის ბუნკერი, პირველად, 2006 წელს გაიხსნა. ამჟამად, კომპლექსი მოიცავს მულტიმედიურ ექსპოზიციას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს, რომის ცხოვერებას ეძღვნება.

ნაბახუსევისთვის მუზეუმი გახსნეს

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში, მსოფლიოში პირველი მუზეუმი გაიხსნა, თანაც არც მეტი, არც ნაკლები – მხოლოდ ნაბახუსევზე მყოფთათვის. ამ უჩვეულო ადგილის სტუმრებს შეუძლიათ, შეიტყონ რეალური ისტორიები, რაც ალკოჰოლის მიღების შემდგომ მდგომარეობას უკავშირდება. დამთვალიერებელს შეუძლია ნაბახუსევთან დაკავშირებული საკუთარი ამბებიც მოყვეს, ნახოს უჩვეულო ექსპონატები, ასევე შეამოწმოს რეფლექსები, თუკი სიმთვრალის ეფექტის მქონე სათვალეს გაიკეთებს. როგორც ამ დაწესებულების ორგანიზატორები ამბობენ, ნაბახუსევის მუზეუმის ძირითადი მიზანია, მეტი ინფორმაცია მისცენ ადამიანებს ალკოჰოლური სასმელების მოხმარების ნეგატიური შედეგების შესახებ. მუზეუმში შესვლა უფასოა, თუკი „სიმთვრალის სათვალეს“ გაიკეტებთ და სამიზნეს ისარს „ცხრიანში“ გაარტყამთ. დანარჩენებისთვის შესვლა 4 ევრო ღირს.

ნახშირწყლები უძილობას იწვევენ

ძილის სურვილი შეიძლება გაგიქრეთ, თუკი თქვენს რაციონში ბევრი ისეთი პროდუქტია, რომლებიც რაფინირებულ ნახშირწყლებს შეიცავენ, – განაცხადეს სწავლულებმა კოლუმბიის უნივერიტეტიდან. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ასეთი ნახშირწყლების რეგულარული მოხმარება, მაგალითად, ნაცხვრების, თეთრი პურის, კარტოფილისა და ბრინჯის, სისხლში შაქრის დონის მომატებას იწვევს. როცა შაქრის დონე სწრაფად იზრდება, ამაზე ორგანიზმი რეაგირებს და ინსულინს გამოჰყოფს. შედეგად, შაქრის დონის დაქვეითებამ ჰორმონების გამოტყორცნა შეიძლება გამოიწვიოს, როგორიც არის კორტიზოლი და ადრენალინი. ეს ჰორმონები ძილის დარღვევას იწვევენ. ამ დასკვნების გასაკეთებლად, მკვლევარებმა 50-ათასზე მეტი მანდილოსნის მონაცემები გააანალიზეს. სწავლულები იმედოვნებენ, რომ კვლევების შედეგები მედიკოსებს დაეხმარება, ხელმისაწვდომი და ეფექტური მეთოდები მოძებნონ პაციენტების უძილობისგან განსაკურნავად.

მოწევა დნმ-ს ცვლის

ჰარვარდის სამედიცინო სკოლის მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ მოწევა ადამიანის დნმ-ის სტრუქტურას ცვლის და დარღვევების ნაწილი მას შემდეგაც არ აღდგება, რაც ადამიანი ნიკოტინზე უარს ამბობს. სწავლულების განცხადებით, მოწევა გავლენას ახდენს მეთილირების – დნმ-ის მოლეკულის ცვლილების პროცესზე, რასაც შეუძლია ჩაახშოს გენების აქტიურობა, ან გავლენა მოახდინოს მათ ფუნქციაზე. ხშირად, ასეთი შეფერხება იწვევს კიბოს, გულის დაავადებებსა და ჯანმრთელობის სხვა სერიოზულ პრობლემებს. მოწევის შედეგები, შესაძლოა, აისახოს მოლეკულურ მექანიზმებზე, 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მკვლევარებმა 16 ათასი ადამიანის სისხლის ნიმუშები შეისწავლეს, რომლებიც ადრე მონაწილეობდნენ სხვადასხვა კვლევებში. აღმოჩნდა, რომ მწეველებში შეიცვალა მეთილირების პროცესი და ამან გავლენა მოახდინა 7 ათას გენზე ანუ მეცნიერებისთვის ცნობილი ადამიანის გენების მესამედზე. თუ ადამიანი ნიკოტინს თავს ანებებდა, გენების უმრავლესობა ნორმაში მოდიოდა, დაახლოებით, ხუთი წლის შემდეგ, მაგრამ 19 გენში მომხდარი ცვლილება, მათ შორის, ლიმფომას წარმოქმნასთან დაკავშირებულის, არ შეიცვალა 30 წლის შემდეგაც კი. სტატისტიკური მონაცემებით, ყოველწლიურად, მოწევით პროვოცირებული დაავადებებით, მსოფლიოში 6 მილიონზე მეტი ადამიანი იღუპება.

მასაჟისტებს კაბებზე ბოქლომი დაადეს

კუნძულ იავაზე მდებარე ერთ-ერთი მასაჟის ცენტრის თანამშრომლები იძულებულნი არიან, კორექტივა შეიტანონ ყოველდღიურ სამუშაო ფორმაში. მასაჟისტები რომ სექსუალური მოძალადეებისგან დაიცვან და თან დაწესებულების იმიჯიც აამაღლონ, სალონის მფლობელებმა თანამშრომლებს მოსთხოვეს, კაბებსა და შარვლებს ბოქლომები დაკიდონ. ეს „ერთგულების კლიტე“ ქალაქ ბატუში მდებარე კოსმეტიკური ცენტრის მასაჟისტებს „ამშვენებთ“. ინდონეზიის ქალაქებში პროსტიტუცია საკმაოდ გავრცელებულია. აქ, მსგავსი სალონების სახელით, უამრავი ბორდელი მუშაობს. „ერთგულების ბოქლომების“ იდეა ადგილობრივმა ხელისუფლებამაც მოიწონა და გადაწყვიტეს, ახალი წესები მასაჟის სხვა სალონებშიც შემოიღონ.

ელექტრომოწყობილობების ჭამას მიეჩვია

დიდ ბრიტანეთში, ქალაქ პრესტონში მცხოვრებ ხუთი წლის ბიჭუნას იშვიათი დაავადება აღმოაჩნდა, რომლის გამოც პატარას უცნაური, გადაულახავი ლტოლვა გაუჩნდა არაორგანული საგნების მიმართ. კერძოდ, ბავშვს ყველაზე მეტად ელეტქროსადენები, მიკროსქემები და ელექტრომოწყობილობების სხვა ნაწილები იზიდავს. იზიდავს არა გასართობად, არამედ, საჭმელად. ეს ფაქტი ბიჭის მშობლებმა სამი წლის წინ აღმოაჩინეს, როცა მათი პატარა მობილური ტელეფონის დამტენის ჭამისას „გამოიჭირეს“. ექიმებმა მას Pica-ს სინდრომის მძიმე ფორმა დაუდგინეს. ამ იშვიათი დაავადების დროს, ადამიანს სხვადასხვა არაორგანული წარმოშობის საგნების მოხმარების სურვილი უჩნდება. აღსანიშნავია, რომ ეს დაავადება იკურნება აბების დახმარებით, თუმცა მისი მიღება მოზრდილი ასაკიდან არის შესაძლებელი. ასე რომ, ბავშვის მშობლებს მიუწევთ, კიდევ რამდენიმე წელი მკაცრ კონტროლზე ჰყავდეთ საკუთარი პირმშო.

სიგარეტის ნამწვისგან სათამაშოებს აკეთებენ

ინდოელმა ჰამან გუპტამ, ნიუ-დელის გარეუბანში, სიგარეტის ნამწვის გადასამუშავებელი ფაბრიკა გახსნა, სადაც მისგან რბილ სათამაშოებს კერავენ. სიგარეტის ფილტრებისგან პროდუქციის შიგთავსს ამზადებენ. ერთი წლის განმავლობაში, იქ მომუშავეები მილიონობით ნამწვს ამუშავებენ და მისგან ტონობით ბოჭკოს იღებენ. თავიდან ფილტრს ქაღალდის გარსისგან და თამბაქოს ნარჩენებისგან ასუფთავებენ – მათგან გადამუშავებული ქაღალდი და კომპოსტი კეთდება. ფილტრისგან ბოჭკოს იღებენ, რეცხავენ და მიღებული მასალისგან სათამაშოებსა და ბალიშებს ავსებენ. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ზრდასრული ინდოელების თითქმის 30% – დაახლოებით, 267 მილიონი ადამიანი – მწეველია.

ღამე ჭამა ფსიქიკას აზიანებს

ამერიკელმა სწავლულებმა ბოსტონის უნივერსიტეტიდან გაარკვიეს, რომ ღამით ჭამა მავნეა ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, ზრდის შფოთვისა და დეპრესიის დონეს. მკვლევარების ექსპერიმენტში 12 მამაკაცი და სუსტი სქესის 7 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ისინი ორ ჯგუფად დაყვეს: საკონტროლო, რომელიც საკვებს 28-საათიანი ციკლით იღებდა (რის გამოც ჭამდა, როგორც დღისით, ასევე ღამეც) და ჯგუფი, რომელიც საკვებს 24-საათიანი ციკლით იღებდა (ჭამდა მხოლოდ დღის განმავლობაში). სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ საკონტროლო ჯგუფის წარმომადგენლებში დეპრესიის მსგავსი განწყობის დონე 26%-ით გაიზარდა, შფოთვის კი – 16%-ით.

ახალი ამბების ყურება საზიანოა

ამერიკელმა სწავლულებმა ტეხასის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ ახალ ამბებზე დამოკიდებულება ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს. ადამიანები, რომლებიც ახალ ამბებს ხშირად უყურებენ, დიდი ალბათობით, აღენიშნებათ სტრესი, შფოთვა და ფიზიკური დაავადებები. მკვლევარებმა 1 100 ზრდასრული ამერიკელი გამოკითხეს და მიღებული შედეგები გააანალიზეს. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტთა 16.5%-ს ახალ ამბებზე ძლიერი დამოკიდებულების ნიშნები ჰქონდა – ისინი იმდენად იყვნენ ამ ამბავში ჩართულნი, რომ აღარ შეეძლოთ, ამ თემაზე არ ეფიქრათ. ეს კი იწვევდა ძილის დარღვევას, ოჯახში ურთიერთობების გაუარესებას, ხელს უშლიდათ სწავლასა და მუსაობაში და იწვევდა შფოთვას. გამოკიტხულტა უმრავლესობას (73%) ფსიქიკის მოშლილობა ჰქონდა, 61%-ს _ ფიზიკური დაავადებები. მკვლევარების განცხადებით, საჭიროა საზოგადოებაში ახალ ამბებზე დამოკიდებულების საწინააღმდეგო პროპაგანდა დაიწყოს. სწავლულებს ასევე მიაჩნიათ, რომ სიტუაციას აღრმავებს მასობრივი ინფორმაციის ის საშუალებები, რომლებიც უპირატესობას ნეგატიურ ახალ ამბებს ანიჭებენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.